ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 21 – 22 მარტი, 2020

№68 (8332)

ფასი: 60 თეთრი

თენგიზ ცერცვაძე: „რაც 19 მარტს ტრამპმა თქვა, იმას ჩვენ თვენახევარია, ვაკეთებთ“

გვ.2

17 მარტიდან

ტარიელ ზოზრაშვილი

მთელი მსოფლიო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„ტვ პირველსა“ და „მთავარ არხს“ ინკასო დაადეს

გვ.2

კახა კოპორიძე: „პრემიერმა სავალდებულო რეკომენდაციებზე ისაუბრა, თუმცა ასეთი ცნება არ არსებობს“

გვ.2

მურმან დუმბაძე: „ბიძინა ივანიშვილი უნდა გამოჩნდეს ტელეეკრანთან“

გვ.3

გვ.4

გურამ ვახტანგაშვილი: „მთელი ცხინვალი ერთ დიდ ყაზარმადაა ქცეული“

გვ.3

„დამნაშავეებსაც ეშინიათ კორონავირუსის“

საქართველოში დანაშაულმა იკლო

ოკუპირებულ აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნები კორონავირუსის პირობებში ტარდება

ასლან ბჟანია: „აფხაზეთის სახელმწიფოს სამხედრო საფრთხე არ მოხსნია“

გვ.4

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია საზღვრის დაცვის გაძლიერებულ რეჟიმზე გადავიდა

გვ.5

შსს-ს მომსახურების სააგენტო გარკვეული სერვისების მიწოდებას დროებით აუქმებს

გვ.5

ISSN 1987-9385

2 მეუფე ნიკოლოზი: „ზიარების კოვზით ინფექციის გადადება გამორიცხულია“

2 კორონავირუსის დამარცხებაში კარგ განწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს კვლევის შედეგი

5 ტრაგედია ზესტაფონში, სატვირთო მატარებელში ხანძარს მექანიკოსი ემსხვერპლა

6 მაკრონი: „საფრანგეთი კრიზისის საწყის ეტაპზეა“

საუდის არაბეთში მექა და მედინა დაიხურა

კახა კოჟორიძე: „პრემიერმა სავალდებულო რეკომენდაციებზე ისაუბრა, თუმცა ასეთი ცნება არ არსებობს“

იავო ნაცვლიშვილი

საქართველო ნელ-ნელა უახლოვდება საგანგებო მდგომარეობის შემოღებას. საქართველოს მთავრობა თანდათანობით ზღუდავს სხვადასხვა უფლებებს. ზოგიერთს სავალდებულოს შესასრულებელი რეკომენდაციას უწოდეს. თუმცა, ამ ეტაპზე საგანგებო მდგომარეობის შემოღების აუცილებლობას ვერ ხედავს.

რა შეიცვლება ამ მდგომარეობიდან საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში და რა შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს? – ეს ის კითხვებია, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს აწუხებს. „ახალი თაობა“ ამ საკითხების შესახებ იურისტებს ესაუბრა.

საია-ს იურისტი კონსტიტუციონალისტი **ვახუშტი მენაბდე** ამბობს, რომ მას არ აქვს მკაფიო პასუხი, უნდა იყოს თუ არა შემოღებული საგანგებო მდგომარეობა. ამბობს, რომ ამისთვის მეტი ინფორმაციაა საჭირო და პრემიერის გარდა, ამ კითხვას თუ ვინმე ცალსახად უპასუხებს, ის სპეკულირებს.

– ნელ-ნელა საგანგებო მდგომარეობას ვუახლოვდებით და თუ გამოცხადდება ის, რეალურად რა იცვლება იმ მდგომარეობიდან, რომელშიც ახლა ვართ და უკვე მოქმედებს გარკვეული შეზღუდვები?

– საგანგებო მდგომარეობა არის სპეციფიკური შემთხვევა სახელმწიფო ცხოვრებაში, როდესაც საჯარო მოხელეები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, მართონ პროცესი ჩვეულებრივ, როგორც აქამდე და საჭირო ხდება გარკვეული ზომების შემოღება. განსაკუთრებული ზომების შემოსაღებად მას იღებს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით და შემდეგ ამას ამტკიცებს პარლამენტი. ასეთი პროცედურა გვაქვს კონსტიტუციის მიხედვით.

ავტომატურად რა მოხდება, რა უფლებები შეიზღუდება და ა. შ. ეს არ არის გათვალისწინებული. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დეკრეტებით პრეზიდენტი აცხადებს, რომელსაც პრემიერ-მინისტრის ასიგნაცია სჭირდება და ეს ხდება იქიდან გამომდინარე, რისი მიღებაც იმ მოცემულ მომენტში არის აუცილებელი.

– თითოეულ დეკრეტს ყველა შემთხვევაში დასაბუთება სჭირდება?

– დიახ, რა თქმა უნდა.

– რა განსაკუთრებული ზომები შეიძლება იყოს შემოღებული და რა უფლებების შეზღუდვაზე შეიძლება იყოს საუბარი?

– კონსტიტუციაში წერია ეს შეზღუდვები. არის ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობთ, რომ ეს ავტომატურად არ იზღუდება. საჭიროა პრეზიდენტის თანხმობა და შემდეგ უკვე პარლამენტის მიერ კენჭისყრა.

– თუ შეიძლება ჩამოთვალეთ რამდენიმე, რა შეიძლება იყოს?

– მაგალითად, გადაადგილების თავისუფლება, შრომითი უფლებები და ა. შ.

– თქვენი პოზიცია როგორია, ამ მოცემულ მომენტში უნდა გამოცხადდეს თუ არა საგანგებო მდგომარეობა?

– ამ კითხვაზე ერთადერთი, ვისაც შეუძლია პასუხი გაგცეთ, ეს არის ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. დანარჩენი, ვინც ამ კითხვაზე პირდაპირ გიპასუხებთ, ჩათვალეთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ სპეკულირებს. ამას სჭირდება ძალიან ბევრი ინფორმაციის ქონა, რათა ეს გადაწყვეტილება მიიღო და ამ კითხვაზე პასუხი გასცე. ძალიან ბევრი ინფორმაცია და ბევრი მონაცემი გჭირდება იმისთვის, რომ განსაზღვრო, საჭიროა თუ არა საგანგებო მდგომარეობა. მე ამ მომენტში ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს და, შესაბამისად, ვერ გიპასუხებთ.

„ლელოს“ წევრს, იურისტ **კახა კოჟორიძესაც** არ აქვს ცალსახა პასუხი, უნდა იყოს თუ არა საგანგებო მდგომარეობა შემოღებული, თუმცა ამბობს, რომ „სავალდებულო რეკომენდაცია“ არ არსებობს და მას ხელისუფლება ვერ დაასაბუთებს.

– თქვენი პოზიცია როგორია, ამ რეალობაში, რომელშიც დღეს ვართ, უნდა გამოცხადდეს თუ არა საგანგებო მდგომარეობა?

– ჩვენ, „ლელომ“, გავაკეთეთ განცხადება, სადაც აღვნიშნეთ, რომ უნდა შეიქმნას ინტერპარტიული ჯგუფი, რომელიც ქვეყანას მოამზადებს საგანგებო მდგომარეობაზე გადასასვლელად. ზოგადად მაგ კითხვას რაც შეეხება, უნდა გამოცხადდეს თუ არა საგანგებო მდგომარეობა, კონკრეტულ პასუხს ვერ გაგცემთ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მაგ საკითხის გადაწყვეტას სჭირდება უფრო მეტი ინფორმაცია, ვიდრე ეს ინფორმაცია მე მაქვს. ხელისუფლების წარმომადგენლებს უფრო მეტი ინფორმაცია აქვთ, ვიდრე ეს მე მაქვს, ამიტომ ამ ინფორმაციის სრულყოფილად შეგროვებისა და გაანალიზების გარეშე მაგ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა ცოტა რთული იქნება, თუმცა თავისთავად სიტუაცია რთული რომ არის და ეს ეხება ძალიან ბევრ ადამიანს, ეს ცხადია.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„ტვ პირველსა“ და „მთავარ არხს“ ინკასო დაადეს

„ტვ პირველსა“ და „მთავარ არხს“, ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ინკასო დაედო.

ეს ინფორმაცია 20 მარტს „მთავარი არხის“ ჟურნალისტმა ნოდარ მელაძემ გაავრცელა.

„მაშინ, როდესაც ბიზნესი კრიზისშია, შესაბამისად ვერც ტელევიზიებს ურიცხავს სარეკლამო მომსახურების თანხას, ფინანსთა სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ მედიის მუშაობა არაა საჭირო და ინკასო დაადო ორ ტელევიზიას, „მთავარ არხს“ და „ტვ პირველს,“ – დაწერა ნოდარ მელაძემ.

ამ თემას „ტვ პირველის“ დამფუძნებელი ვატო წერეთელიც გამოეხმაურა.

„არსებობს რაღაც, რასაც ალბათ ადამიანი ვერც კი წარმოიდგენს! მაშინ, როცა ქვეყანა კორონავირუსს ებრძვის! მაშინ, როცა ბიზნესს წარმოუდგენელი გამოწვევები აქვს! მაშინ, როცა არავინ იცის, რა ელოდება ამ ქვეყნის ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ ეკონომიკას! მაშინ, როცა ჩვენი ტელევიზიის ჟურნალისტები და ოპერატორები საკუთარ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს სასწორზე დებენ, რომ მაყურებელს ინფორმაცია მიაწოდონ. ინფორმაცია, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წამალი! მაშინ, როცა ერთიანობა ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია!

ტელეკომპანია „პირველს“ ისევ ინკასო დაადეს!

გაოგნებული ვარ და სიტყვები არ მყოფნის!

ბატონებო, ჩვენი და თქვენი მტერი კორონაა და არა – თავისუფალი მედია!

გავიმეორებ: ხალხი აქ საკუთარ სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ აყენებს, თქვენ კი ამ ჟურნალისტებს, ოპერატორებს, მემონტაჟეებს, მძღოლებს შემოსავლის გარეშე ტოვებთ!!!“ – დაწერა ვატო წერეთელმა.

მომხდარს „ტვ პირველის“ გენერალური დირექტორი ინგა გრიგოლია ასე გამოეხმაურა:

„მაშინ, როდესაც ქვეყანა არის ეკონომიკურ კრიზისში, იხურება მთელი რიგი კომპანიები. უამრავი ადამიანი რჩება შემოსავლის გარეშე, როდესაც ბანკებმაც კი იგრძნეს, რომ შეეთავაზებინათ თავისი კლიენტებისთვის საბანკო დავალიანებების გადავადება, ამ დროს ჩვენ ისევ ინკასო დაგვადეს. ყველა კომპანია, მთელი ქართული ბიზნესი დგას კოლაფსის წინაშე, ტელეკომპანიას ისევ ინკასოს ადებენ. გუშინ მივმართე თხოვნით, 10 დღით გადაევადებინათ,

საგანგებო მდგომარეობაა გასამმაგებულად ვმუშაობთ. ეს არის წარმოუდგენელი რამ, გაოგნებული ვარ. ამდენი ადამიანი უმუშევარი რჩება და ხელისუფლება კიდევ უმატებს ჩვენს თანამშრომლებს.“

გაკვირვება ვერ დამალა ნიკა გვარამიამ.

„სიურპრიზი აღმოჩნდა ჩემთვისაც კი, ჟამიანობაა, ერთიანობაა საჭირო... ამ ვითარებაში ასეთი დამოკიდებულება სიურპრიზია. შეზღუდვა იმისა, რაც ასეთ დროს ასე გეხმარება. ის, რომ ინკასო ვერ გადავიხადეთ, არ არის ჩვენი ბრალი. ეკონომიკური სიტუაცია უკვე უმძიმესია. დაწყებულია პრობლემები.

ამ მთავრობას რამდენად ჰქონდა უფლება, ტელევიზიებისთვის მოეთხოვა, გაეკეთებინათ საკუთარი შემოსავლების მობილიზაცია, მოდი, ეს დავითვალოთ თვის ბოლოს.

თვის ბოლომდე მივალთ და ეს მთავრობა რამდენი თვის ბოლომდე მივა ეს, გასარკვევია“ – განაცხადა „მთავარი არხის“ გენერალურმა დირექტორმა.

მეუფე ნიკოლოზი: „ზიარების კოვზით ინფექციის გადადება გამორიცხულია“

20 მარტს, საპატრიარქოში სინოდის სხდომის დასრულების შემდეგ, მეუფე ნიკოლოზმა კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ ზიარების წესზე ეკლესია იმავე აზრზე დარჩა.

მისი თქმით, ზიარების კოვზით ინფექციის გადადება გამორიცხულია.

– მე პირადად ასე მიმაჩნია და წმინდა სინოდში არავითარი აზრთა სხვადასხვაობა არ არის, რომ ეჭვის შეტანა იმაში, რომ საერთო კოვზით ზიარებით შეიძლება ინფექცია გადაედოს ვინმეს, ეს არის ყოვლად გამორიცხული. შესაბამისად, ამას რაც შეეხება, არავითარი ცვლილება არ შეიძლება, რომ იყოს, – განაცხადა მან.

მისივე თქმით, კორონავირუსის პანდემიის მიუხედავად, აღდგომის სადღესასწაული წირვა ჩატარდება. შეძლებისდაგვარად, ყველა ტაძარში იქნება გახმოვანება და მრევლს ექნება საშუალება, ეკლესიის შიგნით იყოს ან გარეთ სუფთა ჰაერზე მოისმინოს წირვა.

– ტაძრებში ჩატარდება წირვები, ეზოში წირვის ჩატარებას არავინ არ კრძალავს, ჩვენ ხშირად მივმართავთ ასეთ ხერხს, – განაცხადა მეუფე ნიკოლოზმა.

თენგიზ ცერცვაძე: „რაც 19 მარტს ტრამპმა თქვა, იმას ჩვენ თვენახევარია, ვაკეთებთ“

ინფექციური საავადმყოფოს დირექტორმა, თენგიზ ცერცვაძემ განაცხადა, რომ იმას, რაც 19 მარტს ტრამპმა თქვა, საქართველო თვენახევარია აკეთებს.

აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ვერ დაელოდება ფდა-ს ოფიციალურ რეკომენდაციებს და ექსპერტების რჩევისა და ექსპერტებთან გაკეთებული ანალიზის საფუძველზე, როგორც პრეზიდენტი, თავის თავზე იღებს, რომ მედიკამენტი „პლაქვენილი“, პრეზიდენტის ბრძანებით, დაუშვას გამოსაყენებლად.

ცერცვაძემ განაცხადა, რომ ამის გამო სამსახურში პატარა ზეიმიც კი ჰქონდათ.

– მოხდა საინტერესო რამ, გუშინ გამოქვეყნდა ფრანგების რეკომენდაციები, სადაც მათაც „პლაქვენილი“ დაასახელეს ამ დაავადების, ახალი კორონავირუსის სამკურნალოდ.

კიდევ მოხდა უფრო მნიშვნელოვანი რამ. ტრამპი, იცით მისი ექსტრავაგანტულობა, სწრაფი მოქმედებები, გამოვიდა და ოფიციალურად განაცხადა, რომ ვერ დაელოდება ფდა-ს ოფიციალურ რეკომენდაციებს და ექსპერტების რჩევისა და ექსპერტებთან გაკეთებული ანალიზის საფუძველზე, როგორც პრეზიდენტი, თავის თავზე იღებს, რომ ეს მედიკამენტი, „პლაქვენილი“ პრეზიდენტის ბრძანებით დაუშვას გამოსაყენებლად, მისი გამოყენება გახადოს ლეგიტიმური, ანუ ექიმებს ჰქონდეთ უფლება, გამოიყენონ, ვიდრე ფდა დასკვნას გააკეთებს.

ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი და, მართალი გითხრათ, პატარა ზეიმივით გვქონდა სამსახურში, რაც ტრამპმა თქვა გუშინ, ჩვენ ამას ვაკეთებთ თვენახევარია, – განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ „იმედის“ ეთერში.

კორონავირუსის დამარცხებაში კარგ განწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს კვლევის შედეგი

პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორის, ლევან რატიანის განცხადებით, ახალ კორონავირუსთან ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს ადამიანის ემოცია ასრულებს.

ჩატარებული ცდის შედეგის მიხედვით, პაციენტებს, რომელთაც კარგი განწყობა და ბრძოლის უნარი აქვთ, ვირუსი 12-15 დღეში დაამარცხეს.

– ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ემოციას. დასნეულებულ პაციენტებს ჩაუტარეს ასეთი ცდა, დაჰყვეს 2 ჯგუფად: დეპრესით მიმდინარე კორონავირუსით ინფიცირებული და არადეპრესიით მიმდინარე კორონავირუსით ინფიცირებული პაციენტები.

ამის შემდეგ მელატონინის კონცენტრაცია შეამოწმეს. აღმოჩნდა, რომ პაციენტების შემთხვევაში, რომელთაც გააჩნიათ კარგი განწყობა და ბრძოლის უნარი, 12-დან 15 დღეში ვირუსის ელიმინაცია მოხდა.

კიდევ ერთხელ მინდა ჩვენს მოსახლეობას მივმართო, თუ მოხდა ჩვენი ორგანიზმის ინფიცირება, არ უნდა მივეცეთ დეპრესიას, უნდა ვიბრძოლოთ, უნდა ვიყოთ კარგ ხასიათზე, რომ ეს ყველაფერი გადავლახოთ, – განაცხადა რატიანმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„დამნაშავეებსაც ეშინიათ კორონავირუსის“

საქართველოში დანაშაულმა იკლო

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე იხურება ყველა დაწესებულება, შეწყდა ფრენები. ასეთ დროს რა მდგომარეობაში აღმოჩნდება სასამართლო სისტემა? შეწყდება თუ არა სასამართლო პროცესები? რა ბედი ელით იმ პირებს, ვისაც დროებითი სასჯელები აქვთ მისჯილი? „ახალმა თაობამ“ ამ და სხვა კითხვებით უფლებადამცველებს მიმართა.

ზაზა ხატიაშვილი – ადვოკატთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე:

– ბატონო ზაზა, დღითიდღე მძიმდება სიტუაცია. რა ხდება სასამართლოებში, რამდენად სრულყოფილად ფუნქციონირებენ?

– სასამართლო ვერ გაჩერდება. ჯერჯერობით პროცესები მიდის. განსაკუთრებით იმ საპატიმრო საქმეებზე, სადაც ვადები ეწურებათ მოსამართლეებს, ეს პროცესები მიდის. ამის შეჩერება არ შეიძლება.

– თუ საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა?

– არც ის არის გამორიცხული, რომ მოსამართლეები წავიდნენ და პირდაპირ საპატიმროებში ჩაატარონ პროცესები. არის ვადები, რომელთა დარღვევა არ შეიძლება. თუ დაარღვიე, მაშინ უნდა გაუშვა ადამიანი და ხომ არ შეიძლება 20 კაცის მკვლელი გარეთ გამოუშვა?! აღმკვეთი ღონისძიების ვადა როცა გადის, თუ მოსამართლემ არ მიუსაჯა, მაშინ ის ადამიანი უნდა გათავისუფლდეს. ხოლო თუ სასამართლოები დაიხურა, მოსამართლის გადაწყვეტილების გარეშე ეს ადამიანი იქნება ციხეში, ახალი გადაწყვეტილებაა საჭირო. შემუშავდება რაღაც გეგმა, როგორ უნდა იმუშაოს სასამართლომ. როგორც აფთიაქები და სასურსათო მაღაზიები არ იხურება, ისე არ უნდა დაიხუროს სასამართლოები. სპეციალური ფორმით აღჭურვილები მივიდნენ მოსამართლეები და ისე ჩაატარონ პროცესები.

– ანუ პროცესების ჩატარება აუცილებელია?

– ვალდებულები არიან, რომ ჩაატარონ. ადამიანს, რომელსაც ორთვიანი პატიმრობა აქვს მისჯილი და ვადა ეწურება, ციხეში ვერავინ დატოვებს ორ თვეზე მეტი ვადით და ასევე ვერავინ გამოუშვებს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. ამიტომ ეს პროცესი თავისთავად ვერ გაჩერდება.

– ხომ არ იგეგმება ამნისტია? ციხეებში რა მდგომარეობაა? პანიკა ხომ არ არის შიგნით?

– ამნისტიის თაობაზე ჯერჯერობით არაფერი თქმულა. არც პანიკაა, რადგან ციხეებში არავინაა დაავადებული.

საქართველო ბევრად მომზადებული შეხვდა კორონავირუსს, ვიდრე დიდი რვიანის ქვეყანა იტალია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ეკონომიკა ათასჯერ მცირეა, ვიდრე იტალიისა. იტალიის ჯანდაცვის ბიუჯეტი გაცილებით დიდია, ვიდრე საქართველოს მთლიანი ბიუჯეტი. როგორც მე ვუყურებ, ჩვენს ქვეყანაში პრევენციული ზომები დროულად იქნა მიღებული.

– ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ არც პატიმრების და არც იმ პირების, ვისაც წინასწარი პატიმრობა აქვს მისჯილი, უფლებები არ დაირღვევა?

– არ დაირღვევა. გამოინახება რაღაც ფორმა, რომლითაც ჩატარდება სასამართლო პროცესები. არ არის გამორიცხული, რომ მხარის დასწრების გარეშე განიხილონ საქმეები, ან მოსამართლემ ჩაატაროს გასვლითი სხდომა, რადგან ადამიანი რომ გამოუშვან, აუცილებელია სასამართლოს გადაწყვეტილება. ამიტომ სასამართლოს გაჩერება არ შეიძლება და ვერც გაჩერდება.

– რამდენიმე მოსამართლე კარანტინში იმყოფება.

– კი, ასეა. იტალიაში იმყოფებოდნენ ეს მოსამართლეები. იმედია, გავრცელება არ მოხდება. ჩვენი პირველი საზრუნავი უნდა იყოს ის, რომ ხალხი ცოცხალი გადარჩეს, მასობრივად არ გავრცელდეს ვირუსი. ღმერთმა აშოროს ეს ჩვენს ქვეყანას. ფორსმაჟორში ცხოვრება უნდა ვისწავლოთ. როდესაც ქვეყანას უბედურება ემუქრება, ამ დროს ერიც და ბერიც ერთად უნდა დავდგეთ.

* * *

უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ სასამართლო პროცესებმა მკვეთრად იკლო.

– ბატონო გელა, რა ხდება ამ კუთხით, შეაჩერებენ სასამართლოები ფუნქციონირებას?

– სასამართლოების ფუნქციონირება პრაქტიკულად შეჩერებულია, თუ არ ჩავთვლით გამონაკლისებს. გამონაკლისებია ის სასამართლო პროცესები, რომელთა ვადებიც უკვე იწურება, საუბარი მაქვს 2-თვიან და 9-თვიან ვადებზე. აი ასეთი პროცესი ტარდება და ეს არის დაახლოებით სასამართლო პროცესების ერთი მეათედი. 90% არის ისეთი საქმეები, სადაც ვადები არ არის.

საუბარია სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებიც სააპელაციოსა და უზენაესშია გასაჩივრებული. რაც შეეხება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, იქ ხომ საერთოდ ყველა პროცესი გადადებულია.

– იმ დარჩენილ 10%-ში რამდენად შეძლებს სასამართლო სრულფასოვან ფუნქციონირებას, თუკი საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდება?

– თუკი საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდება და სასამართლოსაც ეტყვიან, რომ საერთოდ უნდა შეაჩერონ მუშაობა, მაშინ სხვა გზა უნდა გამოინახოს. ქვეყანაში ცხოვრება ვერ შეჩერდება, ქვეყანაში დანაშაული ალბათ მოხდება. დაკავებაც მოხდება, გასამართლებაც უნდა მოხდეს და ალბათ უნდა მოხდეს ონლაინ რეჟიმების უზრუნველყოფა. არ გამოვრიცხავ, რომ ონლაინ რეჟიმებში ჩატარდეს სასამართლო პროცესები და მოსამართლეებმა მონაწილეობა ასე მიიღონ.

– ასეთ სიტუაციაში იკლო თუ იმატა დანაშაულმა?

– საგრძნობლად იკლო. უმრავლესობა სახლში ზის. როგორც ჩანს, დამნაშავეებსაც საკმაოდ ეშინიათ კორონავირუსის. დაკავებები არის, მაგრამ უფრო იშვიათად, ვიდრე აქამდე იყო.

– რა ხდება ციხეებში, პანიკა ხომ არ შეინიშნება პატიმრებში?

– დღეისთვის ყველაზე მეტად დაცულები სწორედ პატიმრები არიან. ჩაკეტილი სივრცეა, გადაადგილებები არ ხდება. ოჯახის წევრებთან კონტაქტი აკრძალულია ამ ეტაპზე.

ადვოკატებს უარს ვერ ეტყვიან შესვლაზე, თუმცა ადვოკატებსაც ძალიან მცირე რაოდენობით უშვებენ და აუცილებლად პირბადით და ხელთათმანით, წინაალმდეგ შემთხვევაში, მათი შეხვედრა ხდება შუშის მიღმა. ეს ძალიან კარგი ღონისძიებაა, რომ დაცულები იყვნენ პატიმრები. ამ ეტაპზე ისინი კარგად დაცულები არიან.

– რაიმე ღონისძიება ხომ არ იგეგმება, თუნდაც ამნისტია?

– ამნისტია ჯერჯერობით არა, თუმცა არის ასეთი ტენდენცია. მე დამიკავშირდა ერთ-ერთ ჩემს მიმდინარე საქმეზე პროკურორი და მითხრა, საპროცესო შეთანხმებაზე ხომ არ იქნებით თანახმაო. მანამდე არასდროს ყოფილა მსგავსი შემოთავაზება.

ეს არის კონკრეტული შემთხვევა. მე ვვარაუდობ, რომ მე გამონაკლისი არ ვიქნები და ალბათ სხვა ადვოკატებსაც ექნებოდათ ასეთი შეთავაზება.

– ალბათ დანაშაულის კატეგორიასაც გააჩნია.

– რა თქმა უნდა, გააჩნია. ეს კონკრეტული საქმე, რაც მე ვახსენე, არის იარაღის უკანონო ტარებაზე. ეს დანაშაულიც მძიმედ ითვლება, მაგრამ არ არის ბანდიტიზმი, ყაჩაღობა, მკვლელობა.

– ოპოზიცია აქტიურად ითხოვს 4 პირის გათავისუფლებას და ეს საკითხი დიპლომატიურ შეხვედრებზე გადაწყდა. ამ სიტუაციაში მოხდება მათი გათავისუფლება?



– ძალიან საინტერესო მომენტია. მე არც ერთ მათგანს პოლიტპატიმრად არ ვთვლი, თუმცა მომენტი, როცა ისინი დააკავეს, ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. რაც შეეხება თითოეულ მათგანს, 4 კაცზეა საუბარი. თამლიანს 9-თვიანი ვადა გასდის 6 აპრილს. 9-თვიან ვადაში თუ განაჩენი არ დადგა, მაშინ ის ისედაც უნდა გამოუშვან. ეს გარდაუვალია, თამლიანი იქნება, პეტრე თუ პავლე, ამას მნიშვნელობა არ აქვს.

რჩება 3 ადამიანი: უგულავა, რურუა და ოქრუაშვილი. რურუასთან და ოქრუაშვილთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით. თუმცა განსაკუთრებით ოქრუაშვილის დაპატიმრების ვადაა საეჭვო, როდინდელ დანაშაულს ედავებიან.

რაც შეეხება უგულავას, გეტყვით, რომ თუ თავმოყვარეობა აქვს საქართველოს პრეზიდენტს, მაშინ მან არ უნდა მიიღოს მისი შეწყალების გადაწყვეტილება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ არავინ იფიქრებს იმას, რომ მან ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო. ყველა მოუწოდებს, რომ შეიწყალე, შეიწყალეო და გამოვა ის, რომ მას არ აქვს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უფლება.

– ანუ ზეწოლის შედეგად მიიღებს ამ გადაწყვეტილებას?

– რა თქმა უნდა, ასე იქნება. ევროპელები, ამერიკელები, ოპოზიციონერები, ყველა აქეთ მოუწოდებს. როდესაც ლაპარაკია, რომ სასამართლოს საქმეებში არ უნდა ჩაერიო. სასამართლოს და პრეზიდენტის საქმეებში პირდაპირი ჩარევა სწორედ ეს არის, როდესაც მოუწოდებენ, რომ ასე უნდა იმოქმედოს სასამართლომ და ასე პრეზიდენტმა. ლოგიკურად გამოვა, რომ ჩარევას ექვემდებარება სასამართლოც და პრეზიდენტიც. აქედან გამომდინარე, თუ არ ჩავთვლით თამლიანს, რომელიც ისედაც გამოვა თუ არ მიუსაჯეს სასჯელი ამ 9 თვის გასვლის შემდეგ, დანარჩენ სამზე მე არ ველი, რომ, როგორც მინიმუმ, არჩევნებამდე გამოუშვან და მათ მიმართ რაიმე განხორციელდეს.

„დღეს ოპოზიცია და ხელისუფლება ერთიანი უნდა ვიყოთ გლობალურ გამოწვევასთან ბრძოლაში“

მურმან დუმბაძე: „ბიძინა ივანიშვილი უნდა გამოჩნდეს ტელეეკრანთან“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **მურმან დუმბაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, შესაძლო საგანგებო მდგომარეობის პირობებში გამორიცხავთ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის პოლიტიკური შეთანხმების ჩაშლას?

– ასეთი ვერსია დასაშვებია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა არ გამოცხადდება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ, როდესაც გაცემული დაპირება პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის ჩავარდა, საერთოდ არ იყო კორონავირუსი გამოჩენილი, ამიტომ, მე ამ ხალხისგან არაფერი არ გამიკვირდება.

საგანგებო მდგომარეობის შემოღება, რასაკვირველია, ზრდის ამ შეთანხმების ჩავარდნის ალბათობას და დარჩება ის საარჩევნო სისტემა, რაც დღეს გვაქვს. ახლა ხელისუფლებაზეა ყველაფერი დამოკიდებული. თუმცა, პოლიტიკური ოპოზიცია არ არის წინააღმდეგი საჭიროების შემთხვევაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების.

ჩვენ, პოლიტიკური ოპოზიცია, შევთანხმდით, რომ ამ სიტუაციაში ჩვენი მხრიდან სრული ლოიალობა იქნება. ჩვენ ხელისუფლებას კრიჭაში არ ჩავუდგებით, რადგან ეს გამოწვევა იმდენად გლობალური პრობლემაა, რომ აქ საუბარია ადამიანების სიცოცხლეზე, ჩვენს ქვეყანაზე. ამდენად, ჩვენგან კრიტიკა არ იქნება, მაგრამ ისე არ გამოვიდეს, რომ ეს მდგომარეობა პოლიტიკური ქულებისთვის გამოიყენონ.

– როგორ უნდა გამოიყენონ?

– მაგალითად, ტესტირების მასალის შემოტანა, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რატომღაც იგვიანებს. სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ ბიძინა ივანიშვილი გამოვა და გვეტყვის, ხალხნო, შემოვიტანე ტესტირების ნიმუშები, გადავიხადე ამდენი მილიონი დოლარი და საქართველოს მოქალაქეებს გჩუქნით! ეს არის პოლიტიკური ქულების დაწერა, რაც არ არის საჭირო. თუ აქვს ფული, ამოიღოს ჯიბიდან და შემოიტანოს, რადგან გვიანდება.

ათასზე მეტი ადამიანია კარანტინში და არ ვიცით, რამდენი არის ვირუსის მატარებელი. კარანტინში ყოფნით ხომ ვერ ვუმკურნალებთ ამ ადამიანებს, შეიძლება ვირუსის გამოვლენა დაგვიანდეს, დაგვიანება კი ფატალური შედეგის მიზეზი შეიძლება გახდეს. ამიტომ არის საჭირო საყოველთაო ტესტირება.

– ამირან გამყრელიძემ განაცხადა, რომ ბაზარზე ყველა მომწოდებელი არ არის სანდო, რომ ფეიკ-ტესტები გამოჩნდა, ამიტომ მნიშვნელოვანია ტესტის მაღალი სანდოობა.

– რა თქმა უნდა! მაგრამ ადამიანებმა უნდა ვიცოდეთ, ცხადია, მაღალი სტანდარტის ტესტით, გვაქვს თუ არ გვაქვს ვირუსი, რომ დაზღვეულები ვიყოთ. ამაზე უნდა იზრუნოს სახელმწიფომ. საქართველოში სულ 3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, რაც თითებზე ჩამოსათვლელია, ამიტომ სახელმწიფოს აქვს ის რესურსი, რომ ადამიანებს უშველოს.

სახელმწიფომ ასევე უნდა იზრუნოს, რომ კომუნალური გადასახადების მიმართულებით მოქალაქეებს შეღავათები ჰქონდეთ, რაზეც იზრუნა ევროპამ. ჩვენთან ჯერ ამ მიმართულებით ნაბიჯები არ გადადგმულა. შეგვიძლია სუბსიდირება, სახელმწიფოს მივლინებებისთვის გამოყოფილი თანხების ამ მიმართულებით გადასროლა, რადგან ახლა არც მივლინებებია და არც სტუმრების მიღება-დახვედრა.

რამდენ გაჭირვებულ ოჯახს მიუსწრებს სულზე სახელმწიფოს ეს დახმარება, ამაზე უნდა დაფიქრდნენ. ეს არ არის ჩასაფრებული ოპოზიციის პოზიცია, ეს არის სურვილი და ის, რასაც ჩვენ გავაკეთებდით ხელისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში. ახლა ერთიანი უნდა ვიყოთ გლობალურ გამოწვევასთან ბრძოლაში.

– კრიტიკულ სიტუაციაში არჩევნების გადადებისთვის თუ ხართ მზად ოპოზიცია?

– ნახევარი წელია დარჩენილი არჩევნებამდე და არ მგონია, ასეთი ზომები გახდეს საჭირო. საგანგებო მდგომარეობის პირობებში ნომერ პირველი პირი ქვეყანაში პრეზიდენტი ხდება. არ მგონია, სალომე ზურაბიშვილი ბიძინა ივანიშვილს გულზე ეხატებოდეს და მის გამოცემულ დეკრეტებს დაემორჩილოს.

ისე, როგორი საინტერესოა ადამიანი, მოქალაქეებს პირადად გვირეკავდა ტელეფონზე არჩევნებში მისასვლელად, ახლა კი, ასეთ კრიტიკულ ვითარებაში არ ჩანს. ქუჩაში ადამიანები მეკითხებიან, ივანიშვილი სად არის?!

ჩემი ინფორმაციით, სოფელშია შემორაგულ პირობებში. არადა, ახლა უნდა ვიყოთ ადამიანები ერთმანეთის მიმართ ყველაზე მეტად სოლიდარულები.

ბიძინა ივანიშვილი უნდა გამოჩნდეს ტელეეკრანთან, მას აქვს საქართველოს მოქალაქეების წინაშე მორალური ვალდებულებები აღებული.

გურამ ვახტანგაშვილი: „მთელი ცხინვალი ერთ დიდ ყაზარმადაა ქცეული“

გულიკო ბალაძე

რა ხდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ზოგადად, ცხინვალის რეგიონში, ასევე ახალგორში, სადაც ქართველები უკვე რამდენიმე თვეა იზოლაციაში ცხოვრობენ, რადგან ოკუპანტებს გამშვები პუნქტები ჩაკეტილი აქვს?

„ახალი თაობა“ ახალგორის გამგებელ **ნუგზარ თინიკაშვილს** და პარლამენტის ყოფილ დეპუტატს ლიახვის ხეობიდან **გურამ ვახტანგაშვილს** დაუკავშირდა.

– ბატონო ნუგზარ, რა მდგომარეობაა ახალგორში?

– ახალგორის მოსახლეობა ჩაკეტილია და, როგორც იტყვიან, ბუზიც ვერ შეფრინდება.

– საინტერესოა, კორონავირუსთან დაკავშირებით რა ხდება?

– არაფერი. კორონავირუსთან დაკავშირებით ახალგორში არაფერი ხდება, პროდუქტი მომარაგებული აქვთ. უცხო ადამიანი იქ ვერ მოხვდება. არავის მოუმართავს, ვინმე თუ არის ცუდად, ვინმეს რამე თუ აწუხებს, ან პრობლემა აქვს.

როგორც მეუბნებიან, ჯერჯერობით, სურსათი არის და იზოლირებული არიან. საკმარისია, რაც მათ უფალმა არგუნა, ვირუსი აღარ დაემართოთ.

– ცხინვალში რა მდგომარეობაა ხომ არ იცით?

– ცხინვალზე ვერაფერს გეტყვით.

– ე.ი. ბოლო დროს, რაც ერთხელ გაიხსნა ხანდაზმული ადამიანებისთვის გადასასვლელები, მას შემდეგ აღარ გახსნილა?

– დიახ, არ გახსნილა. ყველა შესასვლელი დაკეტილია. შესასვლელი არსაიდან არ არის.

– ანუ ახალგორის მოსახლეობა ბუნებრივად იზოლაციაშია.

– დიახ, ასე გამოდის.

* * *

ლიახვის ხეობიდან პარლამენტის ყოფილი დეპუტატის გურამ ვახტანგაშვილის თქმით, ცხინვალის მოსახლეობა რუსეთის სამხედრო ბაზაზე მუშაობს და კრემლი თავის სამხედრო მოსამსახურეებს უსაკვებოდ არ დატოვებს.

– ბატონო გურამ, ხომ არ იცით, ცხინვალში რა ვითარებაა?

– მშვიდობაა. რამდენიმე დღეს გზა იყო ჩაკეტილი თოვლის გამო და გაიხსნა.

– ახლა რუსეთის მხრიდან გზა გახსნილია?

– დიახ, როკის გვირაბთან იყო პრობლემა და გახსნეს.

– საინტერესოა, კორონასთან დაკავშირებით რა ხდება?

– არაფერი ინფორმაცია არ არის. რუსეთი ისეთ დაბალ ციფრს ასახელებს, რომ ეჭვი არსებობს, სიმართლესთან ახლოს იყოს.

– შეშინებული არ არიან?

– არა. არა მგონია, შეშინებული იყვნენ. ჩვენი ხალხიც არ არის შეშინებული. ჩვენც არ უნდა შევშინდეთ.

– ცხინვალიდან ოსები ხომ არ გეკონტაქტებიან?

– ბოლო დროს არ დამკონტაქტებიან. შეიძლება მომავალ კვირას გამოვიდნენ ჩემი მეგობრები.

– ლარსის გზით გამოვა? ყველა სხვა გამშვები პუნქტი ხომ დაკეტილია.

– დიახ, გამშვები პუნქტები ჩაკეტილია. ჩემი იქაური მეგობარი აქ გულზე მკურნალობს. წითელ ჯვარს გამოჰყავს ხოლმე. შეიძლება, ახლაც წითელმა ჯვარმა გამოიყვანოს. დაგეგმილი ჰქონდა, აპრილის დასაწყისში უნდა ჩაეტარებინა მკურნალობის კურსი.

– საინტერესოა, ცხინვალს მაინც თუ ამარაგებს რუსეთი პროდუქტით?

– რუსეთი თავის ჯარს არ დატოვებს უსაკვებოდ. ჯარს პროდუქტს ბოლოსდაბოლოს ვერტმფრენებით ჩამოუყრის. არავითარი პრობლემა არ იქნება. თავის ჯარისკაცებს ხომ არ დატოვებენ მშიერს? თითქმის მთელი ცხინვალი რუსეთის სამხედრო ნაწილში მსახურობს და უსაკვებოდ არ დატოვებენ.

– მე მგონი, მთელი ცხინვალი ერთ დიდ სამხედრო ნაწილად იქცა.

– დიახ, ერთ დიდ ყაზარმადაა ქცეული.

– რუსებმა სამხედრო ნაწილში დაასაქმეს ოსები და აღარც მოუნდებათ რუსის ჯარის გაშვება.

– ჯარი სტავროპოლში იქნება, ვოლგოგრადში თუ საქართველოში, ხომ უნდა შეინახოს. აგერ, შუაგულ საქართველოში უზარმაზარი სამხედრო ნაწილი აქვს. ასეთი მომგებიანი პოზიცია კავკასიაში არასოდეს ჰქონია. საქართველოს სხვა კუთხეებიდან საბჭოთა ჯარი გაიყვანეს და აქ კი დიდი სამხედრო ბაზა შექმნეს.

– მახსენდება, საბჭოთა ჯარი ახალქალაქიდან რომ გადიოდა.

– ახალქალაქში იყო ყველაზე დიდი სამხედრო ბაზა.

– იქ მცხოვრებ მოსახლეობასაც არ უნდოდა საბჭოთა ჯარი გასულიყო, მაგრამ მაინც მოუხდათ დათანხმება.

– საბჭოთა ჯარს მხარს სომხური მოსახლეობა უჭერდა ხოლმე. როგორც ცხინვალში ყველა რუსის ჯარს არის მიბმული, სამხედრო ნაწილში მუშაობს, ისე ახალქალაქის მოსახლეობა საბჭოთა ჯარს იყო მიბმული.

კახა კოჟორიძე: „პრემიერმა სავალდებულო რეკომენდაციებზე ისაუბრა, თუმცა ასეთი ცნება არ არსებობს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რაც ყველაზე პრობლემატურია, აღბათობა არის და ამას ხელისუფლების წარმომადგენლებიც ხაზს უსვამენ, რომ შესაძლოა უახლოეს დღეებში კიდევ უფრო რთული სიტუაცია იყოს. ეს შესაძლოა მიუთითებდეს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საჭიროებაზე.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება საჭიროა იმ ღონისძიებების გასატარებლად, რასაც სახელმწიფო ისედაც ახორციელებს. პრემიერ-მინისტრის განცხადება მოვისმინეთ, რომ ქვეყანაში უნდა დაიკეტოს ყველა სავაჭრო ობიექტი გარდა აფთიაქებისა, სასურსათო ობიექტებისა და ა. შ. ანუ, პრემიერმა ამაზე ისაუბრა ისე, როგორც ვალდებულებაზე. თუმცა, არ ვიცით, რა სამართლებრივი საფუძველი აქვს ამას და საიდან გამომდინარეობს მთავრობის უფლება იმის შესახებ, რომ მან დაკეტოს კომერციული დაწესებულება.

ასეთი სამართლებრივი საფუძვლის მოფიქრება მათ გაუჭირდებათ.

– ანუ, რეალურად ეს არის რეკომენდაცია და არა – ვალდებულება?

– დიახ, ზუსტად მაგის თქმა მინდა, რომ პრემიერმა 2-3 დღის წინ ისაუბრა სავალდებულოდ შესასრულებელ რეკომენდაციებზე, რაც სამართლებრივად არასწორი ტერმინია. შემდეგ ეს სხვადასხვა ჟურნალისტმაც გამოიყენა. სავალდებულო რეკომენდაცია – ასეთი ცნება არ არსებობს. რეკომენდაცია რეკომენდაციაა, ხოლო ვალდებულება – ვალდებულება. თუ რაღაცა ინსტრუქციას აქვს რეკომენდაციის ხასიათი, ვისკენაც მიემართება, მისი გადასაწყვეტია, მას გაითვალისწინებს თუ არა.

ვალდებულება უკვე სხვა სამართლებრივი დატვირთვის მქონეა, აქ უკვე კერძო სუბიექტს სამართლებრივი არჩევანი არ აქვს და მას უნდა დაემორჩილოს. შესაბამისად, დღეს რომელიმე კომერციულმა ობიექტმა, მაგალითად, ტანსაცმლის მაღაზიამ თქვას, რომ არ იკეტება, მთავრობას მისი დავალდებულება გაუჭირდება სამართლებრივად, რადგანაც საგანგებო მდგომარეობა გამოცხადებული არ არის და ჩვენ რაც მოვისმინეთ ამ პერიოდში მთავრობისგან, არ ყოფილა სამართლებრივ აქტებზე მითითება, რომ ამ და ამ მუხლის საფუძველზე ვაკეთებ ამასო.

წამყვანი და განვითარებული სახელმწიფოები საგანგებო მდგომარეობას იმიტომაც აცხადებენ, რომ მათ გადაწყვეტილებებს ჰქონდეთ სამართლებრივი საფუძველი. ამ სიტუაციაში მისი სამართლებრივი დასაბუთება ჩვენ ვერ დავინახეთ. თუმცა, ამას მეორე მხარეც აქვს, თუ რეკომენდაციებს ყველა სწორად შეასრულებს, ვისკენაც ის მიემართება, მაშინ შეიძლება საგანგებო მდგომარეობის აუცილებლობა არც იყოს.

– საგანგებო მდგომარეობის შემოღების დროს რა შეიცვლება იმ ვითარებისგან, რაც დღეს გვაქვს, გარდა იმისა, რომ უკვე სავალდებულოს შესასრულებელი ხდება მთავრობის მიერ მიღებული ზომები?

– საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში კონსტიტუციიდან და საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონიდან გამომდინარე ხელისუფლებას ეძლევა მთელი რიგი უფლებების შეზღუდვის საშუალება.

მაგალითად, დღეს თუ ხელისუფლებას არ შეუძლია მომთხოვოს, რომ მე უნდა ვიყო სახლში, ამ შემთხვევაში მას ეს შესაძლებლობა ეძლევა. ამაში, ცხადია, არ ვგულისხმობ იმ ადამიანებს, ვინც თვითიზოლაციასა თუ კარანტინში უნდა იყვნენ. ისინი არიან პოტენციურად ვირუსის მატარებლები და ამ შემთხვევაში შესაძლოა ხელისუფლების მხრიდან არსებობდეს კანონიერი მოთხოვნები, რომ დარჩნენ სახლში. თუმცა ესეც საკამათოა.

იურისტებში ამ თემაზეც არის კამათი, რადგან ამას შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნები არ ახლავს, მაგრამ მით უმეტეს იმ ადამიანებზე, ვინც არ არიან რისკის მატარებლები. შეიძლება ვინც რისკის მატარებელი არ არის, გამოვიდეს სახლიდან ღამე და ქუჩაში სიარული დაიწყოს, რადგან ამ მოქმედების შემზღუდავი რეგულაციები დღეს არ არის, ხოლო საგანგებო მდგომარეობა თუ იქნება შემოღებული, მაშინ ხელისუფლებას სხვა უფლებებთან ერთად ექნება შესაძლებლობა, რომ შეზღუდოს ადამიანების გადაადგილება, დააწესოს კომენდანტის საათი, რომ მხოლოდ ამ პერიოდში შეუძლია ადამიანს გამოვიდეს და გადაადგილდეს.

სხვა უფლებების შეზღუდვაც შეიძლება, მაგალითად, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, ასევე სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება და ა.შ.

ოკუპირებულ აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნები კორონავირუსის პირობებში ტარდება

ასლან ბჟანია: „აფხაზეთის სახელმწიფოს სამხედრო საფრთხე არ მოხსნია“

მარიამ მჭედლიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსთან ბრძოლის ფარგლებში ოკუპირებულ აფხაზეთში სასწავლო პროცესიც შეჩერებულია, 22 მარტს დაგეგმილი განმეორებითი საპრეზიდენტო არჩევნები მაინც ტარდება.

„ახალი თაობის“ მკითხველმა იცის, რომ განმეორებითი არჩევნები აფხაზეთში საზოგადოების ზეწოლით დაინიშნა. იანვარში ხალხი შეიჭრა დე ფაქტო პრეზიდენტის რეზიდენციაში და მოითხოვა ხელახალი არჩევნები, ასევე – მოქმედი ფაქტობრივი პრეზიდენტის, რაულ ხაჯიმბას, გადადგომა.

მანამდე ხაჯიმბას ოპონენტები არჩევნების მეორე ტურის შედეგებს სასამართლოში ამაოდ ასაჩივრებდნენ.

ქუჩაში გამოსულ ხალხს ვერც სასამართლო დაუპირისპირდა და განმეორებითი არჩევნების გამართვის განაჩენი გამოიტანა.

არჩევნების ფავორიტი კანდიდატია ასლან ბჟანია, რომელმაც 2019 წელს არჩევნებში თავის მომხრეებს ალხას კვიცინიას მხარდაჭერისკენ მოუწოდა. ეს იმის გამო მოხდა, რომ ასლან ბჟანია აპრილში თავისი დაცვის წევრებთან ერთად მოწამლეს. მოწამვლის ფაქტი აფხაზეთის პროკურატურას არ დაუდასტურებია.

ასლან ბჟანიას მოწამვლის ნიშნები ცოტა ხნის წინ, 2 მარტსაც გამოუვლინდა. პროკურატურის მიერ ჩატარებულმა პროცესუალურმა შემოწმებამ დაადგინა, რომ გარეგანი ტოქსიკური ზემოქმედება არ იკვეთება.

არჩევნების წინ ასლან ბჟანიას და მის მხარდამჭერ პარტია „ამცახარას“ ბრალდება წაუყენა მისი კონკურენტის, ადგურ არძინბას შტაბმა. ადგურ არძინბა საარჩევნო პროცესში ჩაბმამდე იყო აფხაზეთის ვიცე-პრემიერი და ეკონომიკის მინისტრი.

კიდევ ერთი კანდიდატია ყოფილი შს მინისტრი ლეონიდ ძაპშბა.

ადგურ არძინბას შტაბის ინფორმაციით, ბჟანიას მომხრე „ამცახარა“ ცვლის საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობას და იქ თავისი წევრები შეჰყავს.

შტაბის შეფასებით, ეს უკანონობაა. განმეორებითი არჩევნები კომისიების აქამდე არსებულმა შემადგენლობამ უნდა ჩაატაროს.

– ეს მოქმედებები საფრთხეს უქმნის სამართლიანი არჩევნების ჩატარების პროცესს. მათ მივყავართ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციამდე. ამან შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო დაპირისპირება, – აღნიშნავს ბჟანიას მეტოქის შტაბი.

ასლან ბჟანიას მოწინააღმდეგეები მის წინააღმდეგ ბოლო დროს „ქართულ ფაქტორსაც“ იყენებდნენ.

იანვარში ასლან ბჟანიამ გამოთქვა ქართველებთან დიალოგის აუცილებლობა. ამასთან, მას ეჭვის ქვეშ არ დაუყენებია აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“. მიუხედავად ამისა, ბჟანია ამ თემის გამო შეტევებს დღემდე იგერიებს.

წინა წლებში ბჟანია ახსენებდა აფხაზეთში მცხოვრები ქართველების უუფლებობასაც.

თავისი პროგრამის თეზისებში ასლან ბჟანია თბილისთან დიალოგზე არაფერს ამბობს. „საგარეო“ მიმართულების პრიორიტეტად სახელდება სტრატეგიული მოკავშირეობის განმტკიცება რუსეთთან, დიპლომატიური მუშაობის გაძლიერება აფხაზეთის „აღიარების“ მიზნით და უცხოეთში მყოფი აფხაზეთის მოქალაქეების დაცვა.

ასლან ბჟანიას პროგრამის თანახმად, „აფხაზეთის სახელმწიფოს სამხედრო საფრთხე ჯერ არ მოხსნია. აფხაზეთსა და საქართველოს ერთმანეთთან დღემდე არ დაუდვიათ დამავალდებულებელი დოკუმენტი სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის შესახებ საერთაშორისო გარანტიების პირობებში“.

ასლან ბჟანიას პროგრამა ითვალისწინებს კომპაქტური მობილური არმიის შექმნას საკონტრაქტო სისტემით. ეს არ ჯდება რუსეთის გეგმებში აფხაზეთის ჯარის მოდერნიზების შესახებ.

აფხაზეთის საზოგადოებაში უკმაყოფილებაა ფსოუზე საზღვრის ჩაკეტვის გამო. ენგურზე გადმოსასვლელი საკონტროლო-გამშვები ადრევე გადაიკეტა. პუნქტების დახურვა ადგილობრივმა ქართველებმა ჯერ კიდევ სამი კვირის წინ გააპროტესტეს.

18 მარტიდან 1 მაისამდე რუსეთის ფედერაციამ თავის სახელმწიფოში აკრძალა ყველა უცხოელის, ანუ მათი შესვლა, ვისაც რუსეთის მოქალაქეობა არ გააჩნია.

აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეობა უამრავ ადამიანს აქვს. თუმცა, არიან სხვებიც, რომლებიც ამ შეზღუდვით დაზარალდნენ.

აფხაზებს რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატის, კონსტანტინ ზატულინის ინიციატივა აიმედებს. ზატულინმა მოითხოვა, რომ გამონაკლისის სახით აკრძალვის პერიოდში რუსეთში შეუშვან აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის, ასევე დონეცკისა და ლუგანსკის მცხოვრებლები.

აფხაზეთში ამ დღეებში ჩამოვიდნენ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტები. ისინი ამზადებენ მოხსენებას აფხაზეთზე.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ამ რეგიონს კორონავირუსთან ბრძოლაში ეხმარება. მისმა წევრებმა აფხაზეთში ჩამოიტანეს პერსონალური მოვლის 500 მოწყობილობა, 600 ლიტრზე მეტი ანტისეპტიკი და ანტიბაქტერიული თხევადი საპონი. ორგანიზაცია აფხაზეთს საჭირო რეკომენდაციებსაც აძლევს.

სასამართლო პროცესები დისტანციურად ჩატარდება

სასამართლო პროცესები დისტანციურად ჩატარდება. აღნიშნული გადაწყვეტილება 20 მარტს უზენაეს სასამართლოში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის, გენერალური პროკურორის, იუსტიციის მინისტრის მოადგილის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის დირექტორის მოადგილის, იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმძღვანელისა და ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის შეხვედრაზე მიიღეს.

მხარეებმა შეხვედრაზე ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით ქვეყანაში შექმნილ ვითარებასა და ამ თვალსაზრისით მართლმსაჯულების სრულყოფილად განხორციელების გზებზე იმსჯელეს.

შეთანხმდნენ, რომ მართლმსაჯულება მაქსიმალურად დისტანციურ სამართალწარმოების რეჟიმზე გადავა.

– შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით შევთანხმდით, რომ მაქსიმალურად უნდა გადავიდეთ დისტანციური საქმის წარმოების პროცესზე. პროცესები ჩატარდება დისტანციურად, სპეციალური პროგრამის მეშვეობით, ასევე სასამართლო მაქსიმალურად უზრუნველყოფს მხარეებისთვის შესაძლებლობას, რომ სარჩელები და სხვადასხვა დოკუმენტი წარმოდგენილი იყოს ელექტრონული ფორმით, ამისათვის მხარეებს აღარ დასჭირდეთ სასამართლოში გამოცხადება.

ერთმანეთთან გვექნება მჭიდრო კომუნიკაცია და ვეცდებით, რომ დაიხვეწოს ელექტრონული წარმოების პროცესი, რათა სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების მსგავსად, სასჯელაღსრულებაში მოთავსებული პირების, პატიმრების საქმეების განხილვაც მოხდეს დისტანციურად, – აცხადებს გიორგი მიქაუტაძე.

როგორც გენერალური პროკურორი ირაკლი შოთაძე განმარტავს, 19 მარტს პირველი დისტანციური პროცესი უკვე გაიმართა.

– ეს შეხვედრა ახალი კორონავირუსის გავრცელების რისკების პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებას მიეძღვნა, რომელიც მართლმსაჯულების სისტემაში უნდა განხორციელდეს, რათა მართლმსაჯულების პროცესი შეუფერხებლად წარიმართოს და ასევე უზრუნველყოფილ იქნას ამ პროცესში ჩართული მხარეების ჯანმრთელობის უსაფრთხოება.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. კონკრეტულად, 19 მარტს უკვე გაიმართა პირველი დისტანციური პროცესი. ჩვენი მიზანია, ყველა იმ საქმეებზე, რომლებზეც მართლმსაჯულება აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, ეს პროცესი განხორციელდეს დისტანციური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით. აღნიშნული პროგრამა უკვე დაინერგა, რისთვისაც დიდი მადლობა ამ პროცესში ჩართულ ყველა მხარეს. ვფიქრობ, აღნიშნული სიახლე უზრუნველყოფს ახალი კორონავირუსის გავრცელების რისკების მინიმუმამდე დაყვანას, – აღნიშნა ირაკლი შოთაძემ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია საზღვრის დაცვის გაძლიერებულ რეჟიმზე გადავიდა

საქართველოს მთავრობის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, 18 მარტიდან, საქართველოში 2 კვირით აიკრძალა სახელმწიფო საზღვარზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემოსვლა. საკონტროლო გამტარი პუნქტების გვერდის ავლით, საზღვრის უკანონო კვეთის მცდელობების რისკების შემცირების მიზნით, სასაზღვრო პოლიცია საზღვრის დაცვის გაძლიერებულ რეჟიმზე გადავიდა.

სასაზღვრო პოლიციის უფროსის გადაწყვეტილებით, რისკებისა და საფრთხეების ანალიზის საფუძველზე, დამატებითი ადამიანური და ტექნიკური რესურსით გაძლიერდა სახმელეთო საზღვრის დაცვის გაზრდილი რისკის შემცველი მონაკვეთები. სასაზღვრო პერიმეტრის კონტროლს მესაზღვრეების გაძლიერებული შემადგენლობა საზღვრის დაცვის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით ახორციელებს.

ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციისა და რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით, სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლები მუდმივად იღებენ დამატებითი ინფორმაციას სამსახურებრივი საქმიანობისას გასათვალისწინებელი წესებისა და ჰიგიენის რეკომენდაციების შესახებ. მესაზღვრეები პოტენციური დამრღვევის დაკავებისას იმოქმედებენ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სპეციალური რეკომენდაციების დაცვით და გამოიყენებენ შესაბამის აღჭურვილობას.

შსს-ს მომსახურების სააგენტო გარკვეული სერვისების მიწოდებას დროებით აუქმებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, საქართველოს მთავრობის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების და რეკომენდაციების შესაბამისად, ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, გარკვეული სერვისების მიწოდებას დროებით აუქმებს.

ახალი რეგულაციების თანახმად, საქართველოს მასშტაბით, მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში უქმდება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები თეორიული და პრაქტიკული გამოცდები.

– მოქალაქეებს, რომლებსაც დაჯავშნილი ჰქონდათ თეორიული გამოცდის თარიღი, გამოცდაზე გასვლა შეეძლებათ სერვისების სრულად აღდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, იმავე ფილიალში, რიგის დაჯავშნის გარეშე;

– იმ პირებს, ვისაც ჩაბარებული აქვთ თეორიული გამოცდა, პრაქტიკულ გამოცდაზე გასვლა შეეძლებათ სერვისების სრულად აღდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

ასევე, უქმდება ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურები.

რაც შეეხება მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემულ ცნობებს, ნასამართლობის შესახებ ცნობის მისაღებად განაცხადი მიიღება მხოლოდ ელექტრონული წესით, მომსახურების სააგენტოს ვებგვერდის საშუალებით (სა.გოვ.გე), დამზადებული დოკუმენტის გაცემა მოხდება განაცხადის შევსებისას მითითებულ ფილიალში, ხოლო სხვა ცნობების მისაღებად განაცხადის შევსება შესაძლებელია მომსახურების სააგენტოს ფილიალებში.

მომსახურების სააგენტოს შეგიძლიათ, მიმართოთ სატრანსპორტო საშუალების განბაჟების, რეექსპორტის, ექსპორტის და რეგისტრაციის პროცედურების განსახორციელებლად.

ასევე, მოქალაქეებს დროებით ვერ მოემსახურება ახალქალაქისა და ამბროლაურის სერვისცენტრები.

ამასთან, კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, გადაუდებელი აუცილებლობის გარდა, ნუ მიმართავთ მომსახურების სააგენტოს სერვისცენტრებს, ხოლო მიმართვის შემთხვევაში, თავი შეიკავეთ გარეშე პირების თანხლებისგან.

აქვე გაცნობებთ, რომ დაგეგმილი სადეზინფექციო სამუშაოების გამო, მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეული 24, 26 და 28 მარტს წყვეტს სამუშაო რეჟიმს და მოქალაქეებს ვერ მოემსახურება.

ტრაგედია ზესტაფონში, სატვირთო მატარებელში ხანძარს მექანიკოსი ემსხვერპლა

ზესტაფონში სატვირთო მატარებელს ცეცხლი გაუჩნდა, რის შედეგადაც შუახნის მამაკაცი, მექანიკოსი დაიღუპა.

მატარებელი თბილისიდან ფოთში მიდიოდა. ხანძრის შედეგად დაიწვა ერთი ვაგონი.

ადგილზე მობილიზებული იყო სამი სახანძრო ეკიპაჟი.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის მესამე ნაწილით დაიწყო

„ჯორჯიან ეარვეისი“ თანამშრომლების 95%-ს უვადო, უხელფასო შვებულებაში უშვებს

„ჯორჯიან ეარვეისის“ გენერალური დირექტორის რომან ბოკერის განცხადებით, ავიაკომპანია თანამშრომლების 95%-ს უვადო, უხელფასო შვებულებაში უშვებს. მისი თქმით, გაუქმებული რეისების გამო კომპანიაში ფინანსური კრიზისია შექმნილი და ამიტომ ავიაკომპანია თანამშრომლებს უხელფასო შვებულებაში უშვებს.

–შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, იძულებული ვართ თანამშრომლების 95% უვადო შვებულებაში გავუშვათ. მაქსიმალურად შევეცდებით სამსახურში რაც შეიძლება სწრაფად დავაბრუნოთ, მობილიზება გავუკეთოთ ფინანსურ სახსრებს, რომ ჩვენი პროფესიონალები უკან მალე დავაბრუნოთ. ჩვენი ყველაზე დიდი კაპიტალი, ჩვენი თანამშრომლებია, – განაცხადა ბოკერიამ ბრიფინგზე.

სოციალურად დაუცველი პირისთვის ფულის გამორთმევის ფაქტზე 1 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოქალაქის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული დაუკავშირდა სოციალურად დაუცველ პირს და მოტყუებით დაარწმუნა იგი, რომ შესაბამისი თანხის გადახდის შემთხვევაში, სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირის მეშვეობით, დაეხმარებოდა მას ქალაქ გორში საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემაში.

აღნიშნული თაღლითური განზრახვით, ბრალდებულმა მოქალაქეს მოსთხოვა 4.500 აშშ დოლარი, საიდანაც, წინასწარ გამოართვა 3.900 დოლარი.

ამ დროს მოხდა მისი დაკავება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

განზრახ მკვლელობისთვის ჭ.წ.-ს 10 წელი მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობისა და ცივი იარაღის ტარებისთვის ბრალდებული ჭ.წ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 2 აგვისტოს, ქ.თბილისში, ვარკეთილი 3, I მიკრო/რაიონში, კორპუსის სადარბაზოში, განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევმა ჭ.წ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით ვ.ვ.-ს დანით 11 ჭრილობა მიაყენა.

მიღებული ჭრილობების შედეგად ვ.ვ. საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ჭ.წ. იმავე დღეს დაიკავეს. მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა დანაშაულის იარაღი – დანა. ჭ.წ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) და 238' მუხლის პირველი ნაწილით (განზრახი ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ჭ.წ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

პოლიციამ თვითიზოლაციის წესების დარღვევისთვის იძულებით კარანტინში კიდევ 14 ადამიანი გადაიყვანა

შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავრობის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და რეკომენდაციების აღსრულების მიზნით, 24-საათიან, საგანგებო რეჟიმში მუშაობას განაგრძობს და დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად, ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს მასშტაბით, თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მონიტორინგს აქტიურად ახორციელებს.

ერთობლივი მონიტორინგის შედეგად, 19 მარტს თვითიზოლაციის წესების დარღვევის კიდევ 14 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

თბილისიდან, ასევე იმერეთის, სამეგრელოს, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და აჭარის რეგიონებიდან მოქალაქეები, რომლებმაც თვითიზოლაციის წესები დაარღვიეს, საკარანტინო ზონაში იძულებით არიან გადაყვანილი.

ამ დროისათვის, თვითიზოლაციის წესების დარღვევის გამო, საკარანტინო ზონებში, იძულების წესით, ჯამში, 141 ადამიანია გადაყვანილი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და პატივი სცეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის გადაწყვეტილებებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ აღნიშნულ რეგულაციებს.

ფასის სპეკულაციური ზრდის თავიდან ასაცილებლად, მიწოდების ჯაჭვის ყველა რგოლი გაკონტროლდება

დისტრიბუტორთა ასოციაცია 9 მნიშვნელოვანი სასურსათო პროდუქტის იმპორტიორ/დისტრიბუტორებს მიმართავს.

შეგახსენებთ, რომ პროდუქტზე ფასების ზრდის თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სავალუტო რისკებისგან დაზღვევის მექანიზმის ფარგლებში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 9 მნიშვნელოვანი სასურსათო პროდუქტის იმპორტიორებისთვის/დისტრიბუტორებისთვის ფიქსირებულ საკურსო რეჟიმში გადაზღვევის თაობაზე.

– „საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაცია“ ყველა იმპორტიორ/სადისტირბუციო კომპანიას, რომლებიც ახორციელებენ ქვემოთ მითითებული პროდუქტის იმპორტს, მოუწოდებს წარმოადგინონ ინფორმაცია ასოციაციას ან/და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში საკურსო რეჟიმში გადაზღვევა განხორციელდება შემდეგ 9 პროდუქტზე:

ბრინჯი; მაკარონი; ლობიო; მზესუმზირის ზეთი; ფქვილი; შაქარი; ხორბალი; რძის ფხვნილი; წიწიბურა;

მიწოდების ჯაჭვის ყველა რგოლში გაკონტროლდება ფასი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფასის სპეკულაციური ზრდა, – აღნიშნულია განცხადებაში.

მაკრონი: „საფრანგეთი კრიზისის საწყის ეტაპზეა“

საუდის არაბეთში მექა და მედინა დაიხურა

საფრანგეთის პრეზიდენტის თქმით, ქვეყანა კრიზისის საწყის ეტაპზეა. ამის შესახებ ემანუელ მაკრონმა შინაგან საქმეთა მინისტრთან შეხვედრის დროს განაცხადა.

– ჩვენ კრიზისის დასაწყისში ვართ. ჩვენ საგანგებო ზომები მივიღეთ, რომ პირველი ტალღა აღმოგვეფხვრა. ჩვენი პასუხი ძლიერი უნდა იყოს და ყოველ წუთს შევძლოთ რეორგანიზაცია, – აღნიშნა მაკრონმა.

პრემიერ-მინისტრმა ედუარ ფილიპმა კი ხალხს სთხოვა, დისტანცია დაიცვან და ერთმანეთს არ ჩაეხუტონ, რათა ვირუსის გავრცელება კიდევ უფრო არ მოხდეს.

– თუ ვინმე გიყვარს, ნუ ჩაეხუტები. ეს ალეგიკურია, მტკივნეულია, მას შეიძლება ფსიქოლოგიური შედეგები მოჰყვეს, შემაშფოთებელია, მაგრამ ეს არის ის, რაც აუცილებლად უნდა გავაკეთოთ, – აღნიშნა პრემიერმა.

საფრანგეთმა გამოაცხადა კანის კინოფესტივალის გადადების შესახებ, რომელიც კანში 12-23 მაისს უნდა გამართულიყო.

განიხილება მისი ჩატარების სხვადასხვა თარიღი. მათ შორისაა ივნისის ბოლო. გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არაა.

***

დიდი ბრიტანეთი 65 000 ექიმსა და ექთანს, რომლებიც ბოლო სამი წლის მანძილზე პენსიაზე გავიდნენ, სთხოვს სამსახურებს დაუბრუნდნენ, რათა ქვეყანა მსოფლიოში ჯანმრთელობის ყველაზე დიდ საფრთხეს გაუმკლავდეს.

– რადგან ჯანდაცვის სერვისი ცდილობს გაუმკლავდეს მსოფლიოში არსებულ ყველაზე დიდი ჯანდაცვის საფრთხეს, ჩემი მესიჯი ყოფილი კოლეგებისადმი იქნება: „თქვენ ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურს სჭირდებით“ – განაცხადა ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის წარმომადგენელმა რუთ მეიმ.

ამასთან, ბრიტანეთი სამედიცინო უნივერსიტეტების დამამთავრებელი კურსის სტუდენტებსაც სთავაზობს დროებით დასაქმებას.

***

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, საუდის არაბეთში მექა და მედინა დაიხურა.

მომლოცველები მექასა და მედინას მეჩეთებში შესვლას ვეღარ შეძლებენ.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა პერიოდით იქნება დახურული სამლოცველოები.

***

სამხრეთ აფრიკა ზიმბაბვესთან 40-კილომეტრიან ღობეს ააშენებს, რათა კორონავირუსის გავრცელების შემთხვევაში მიგრანტთა ნაკადი შეაკავოს.

ამასთან, პრეზიდენტ კირის რამაფოზას ბრძანებით, 53 სასაზღვრო გამშვები პუნქტიდან 35 დაიხურა.

– 40-კილომეტრიანი ღობის აშენება ერთთვეში დასრულდება. ჩვენ ქსენოფობიურად არ ვიქცევით. ჩვენ კონსულტაციები ბევრ მეზობელ ქვეყანასთან გავიარეთ. სამხრეთ აფრიკამ საკუთარი მოქალაქეები უნდა დაიცვას. ჩვენ გვყავს პროფესიონალები, ვინც საზღვრებთან სკრინინგს ჩაატარებს და ტესტებს აიღებს, მაგრამ იმის შესაძლებლობა არ გვაქვს, რომ თუ ვინმეს ქვეყანაში შემოსვლა უნდა, ამის უფლება მივცეთ, – განაცხადა სამხრეთ აფრიკის შრომის მინისტრმა პატრისია დე ლილემ.

„ვირუსის შიში უფრო საშიშია, ვიდრე თავად ვირუსი“

რატომ არ კეტავს საზღვრებს შვედეთი

ევროპის ქვეყნებიდან შვედეთის სამეფო ერთადერთია, რომელსაც საზღვრები არ დაუკეტავს, მათ შორის, სასწავლო დაწესებულებები, კაფე-ბარები, რესტორნები.

ხელისუფლებას ამ დრომდე შესაბამისი ზომები კორონავირუსის წინააღმდეგ არ მიუღია. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, უახლოეს პერიოდში დაწესდება შესაბამისი კონტროლი საზღვრის გადაკვეთისთვის.

შვედი მეცნიერების მტკიცებით, გავრცელებული ვირუსი უსაფრთხოა. ამ ეტაპზე შვედეთში კორონავირუსით ინფიცირებული 1.300-ზე მეტია, აქედან 3 გარდაცვლილი და მხოლოდ 1 გამოჯანმრთელებული. ქვეყანაში ცხოვრების სტილი ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობს.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი ინფიცირებული ექიმი მუშაობას კვლავ განაგრძობს.

მედიკოსების განცხადებით, ვირუსის შიში უფრო საშიშია, ვიდრე თავად ვირუსი, რაც მხოლოდ გარემოებას ართულებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მდინარეში ჩავარდნილი ჩაფხუტი ხუთი წლის შემდეგ დედამიწის მეორე ბოლოში იპოვეს

ამერიკის ლუიზიანას შტატში, მდინარე მისისიპიში ჩავარდნილი ჩაფხუტი ხუთი წლის შემდეგ დედამიწის მეორე ბოლოში, ირლანდიაში იპოვეს.

ლაიამ მაკნამარამ ირლანდიის სოფელ ფანორის პლაჟზე ჩაფხუტი იპოვა და ფოტოსურათი სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა მისი პატრონის საპოვნელად.

დამცავი თავსაბურავი ლუიზიანას სახელმწიფო უნივერსიტეტის იასამნისა და ოქროს ფერებშია. ეტიკეტზე სამშენებლო მანქანების ექსპლოატაციის ინჟინერთა საერთაშორისო კავშირის სახელწოდებაა დატანებული. ეს მონაცემები დაეხმარა მაკნამარას ჩაფხუტის მფლობელ მეთიუ ბონეტთან დაკავშირებაში.

ბონეტმა განმარტა, რომ 2015 წელს ბელ-ჩასის ოლქში ახალი ორლეანის მახლობლად მუშაობდა, როდესაც ჩაფხუტი თავიდან მოძვრა და მდინარე მისისიპიში ჩაუვარდა. მაკნამარა მას შეპირდა, რომ ჩაფხუტს ფოსტით გაუგზავნის ლუიზიანაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლას-ვეგასში ყველა კაზინოს დახურავენ

ამერიკის ნევადის შტატის გუბერნატორმა სტივ სისოლაკმა განაცხადა, რომ მის კონტროლირებად ტერიტორიაზე კორონავირუსის ინფექციის გავრცელებასთან დაკავშირებით ყველა კაზინო დაიხურება.

პოლიტიკოსის განკარგულების თანახმად, ნევადაში შეწყდება კაზინოების, ბარების, კინოთეატრების და სავარჯიშო დარბაზების მუშაობა. რესტორნები მომხმარებლებისთვის დარბაზებს დახურავენ, თუმცა ფუნქციონირებას გააგრძელებს კერძების ადგილზე შეკვეთით მიტანის სამსახური. აღსანიშნავია, რომ ბოლოს მსგავსი რამ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ 1963 წლის 25 ნოემბერს მოხდა და ის აშშ-ის მოკლული პრეზიდენტის ჯონ კენედის დაკრძალვასთან იყო დაკავშირებული.

სისოლაკმა აღნიშნული განცხადება ლას-ვეგასში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

– ჩვენ ყოველი დაეჭვების გარეშე უნდა გადავდგათ ეს ნაბიჯი ნევადის მკვიდრთა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დასაცავად. გთხოვთ დარჩით სახლებში ნევადის გულისათვის, – მიმართა მოსახლეობას გუბერნატორმა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შტატის ტერიტორიაზე კორონავირუსით დაინფიცირების 50-ზე მეტი შემთხვევაა დარეგისტრირებული.

იტალიაში ხელფასებს ამცირებენ, გერმანიაში ფეხბურთელები გასამრჯელოზე უარს ამბობენ

მსოფლიო განაგრძობს პანდემიასთან ბრძოლას, ხოლო იტალია, სიტუაციიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, ფრონტის ხაზზე რჩება.

ქვეყანა უკვე ახლა ითვლის უმძიმეს ფინანსურ დარტყმას და, ბუნებრივია, არც ფეხბურთი რჩება ნაკლები წნეხის ქვეშ.

კლუბებს ჯამში 1 მილიარდის ზარალი ელით და აქედან გამომდინარე, სახელისუფლებო უწყებებს უკვე მიმართეს გარკვეული ბიუროკრატიული შემსუბუქების თხოვნით.

დავალიანება, რომელიც სატელევიზიო თუ სხვა კომერციული ხელშეკრულებებით ელის, საკმაოდ დიდია.

ერთია, საქართველოსგან განსხვავებით, კლუბები ხელისუფლებისგან თანხების გამოყოფას არ ითხოვენ, მაგრამ რეგულაციების გადახედვა ამ შექმნილ მდგომარეობაში სავსებით ნორმალური რამ არის.

თავად კლუბების მესვეურები შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, რათა თავიდან იქნას აცილებული მთელი რიგი ფინანსური დარტყმები, სხვადასხვა ვარიანტებზე მუშაობენ.

ერთ-ერთი კი გახლავთ ფეხბურთელებისთვის ანაზღაურების შემცირება. ფაქტობრივად, იგივე, რაც საფრანგეთში მოხდა, როდესაც მოთამაშეებს 70%-ით შეუმცირეს ხელფასები.

ეს ჯერჯერობით მოსაზრების დონეზეა და არც ის არის ცნობილი, თავად ფეხბურთელებს რა განწყობა აქვთ. თუმცა, არსებული ვითარება ყველა მხრიდან გარკვეულ დათმობაზე წასვლას აიძულებს, რადგან მსოფლიო დიდ ფინანსურ პრობლემებს განიცდის და მას ვერც ერთი სფერო ვერ დაემალება.

თუ იტალიასა და საფრანგეთში საუბარი ხელფასების შემცირებაზეა, გერმანული გლადბახის ფეხბურთელებმა, მწვრთნელებმა და ხელმძღვანელობამ კლუბისა და მისი თანამშრომლების დასახმარებლად, თავიანთი გასამრჯელოს მიღებაზე უარი თქვეს.

კორონავირუსის პანდემიის გამო, ბუნდესლიგა 2 აპრილამდეა გადადებული. გამომდინარე აქედან, კლუბში დასაქმებული ადამიანების დასახმარებლად, რომლებიც სამსახურის გარეშე დარჩნენ, ფეხბურთელებმა, მწვრთნელებმა და ხელმძღვანელობამ თანხმობა განაცხადეს, ამ პერიოდში ანაზღაურების მიღებაზე უარი თქვან.

მაქს ებერლი, გლადბახის სპორტული დირექტორი:

– ახსნა-განმარტებების მიცემა არ დამჭირვებია. ფეხბურთელებს შექმნილი მდგომარეობის შესახებ ყველაფერი მშვენივრად მოეხსენებათ. მოთამაშეები ინიციატივით გამოვიდნენ, თუ კლუბსა და მის თანამშრომლებს რამეში დაეხმარებოდათ, თავიანთი ხელფასები დაეთმოთ.

ბიჭების საქციელით ვამაყობ. მათ სურთ კლუბს, რომლის რიგებშიც ასპარეზობენ და მის გულშემატკივრებს რაღაც დაუბრუნონ. ფეხბურთელთა ინიციატივას სამწვრთნელო შტაბის წევრები და კლუბის ხელმძღვანელებიც შეუერთდნენ. ურთულეს მდგომარეობაში ვიმყოფებით და ასეთი ზომების მიღება აუცილებელია.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ: 593-60-60-44; 299-95-33 იკითხეთ ექიმი მერაბი.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 160 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაეღლდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

თემურ ქეცბაია: „ომები მინახავს, მაგრამ 21-ე საუკუნეში ასეთს არაფერს ველოდი“

საქართველოს ნაკრების ყოფილმა და „ანორთოსისის“ ამჟამინდელმა თავკაცმა თემურ ქეცბაიამ კორონავირუსის გარშემო არსებულ ვითარებაზე, კვიპროსის ჩემპიონატსა და სხვა საკითხებზე ვრცლად ისაუბრა.

ქეცბაია 18 მარტს 52 წლის გახდა, კვიპროსელმა ჟურნალისტებმა ჩვენებურს დაბადების დღეც მიულოცეს...

– რას იტყვის მსოფლიოში გავრცელებულ პანდემიასა და ამ პერიოდში მომხდარ ამბებზე?

– 10 დღეა სახლში ვზივარ და ვცდილობ, არსად გავიდე. არის მომენტი, როცა რაღაც აუცილებელ ნივთებზე მივდივართ. სახლში მეუღლესთან ერთად ვარ. ჩემი ქალიშვილი ბრიტანეთშია. საერთოდ, შვილზე ვზრუნავ და ყოველდღიურად ვკონტაქტობთ, ვსაუბრობთ და ვიცით, რას აკეთებს. ვეუბნები, სახლიდან არ გავიდეს. პანიკის მიზეზი არ არსებობს, რადგან ასეთი მიდგომა უფრო მეტ პრობლემას ქმნის.

ამ დაავადებების შესახებ ცოტა რამ ვიცით. უნდა ილაპარაკონ მათ, ვისაც ამ სფეროში სიტყვა ეთქმის – ექიმებმა, მეცნიერებმა... მათ უნდა გვითხრან, როგორ მოვიქცეთ... მაგრამ პანიკაში ნუ ჩავვარდებით. უმჯობესია, ჩემი შვილი ინგლისში იყოს, ვიდრე ასეთ დროს კვიპროსში ჩამოვიდეს. ინგლისი დიდი ქვეყანაა, სადაც იციან, როგორ არ უნდა შექმნან პანიკა. საერთოდ, უკეთესია, სახლში დავრჩეთ, რათა თავს და ერთმანეთს გავუფრთხილდეთ.

– რას ეუბნებით ასეთ დროს ფეხბურთელებს და რა მდგომარეობაშია გუნდი?

– რა შემიძლია მათ ვუთხრა? მხოლოდ ფეხბურთზე თუ დაველაპარაკები, მეცნიერებაზე მსჯელობა არ შემიძლია. შაბათ-კვირის შემდეგ მოთამაშეებთან არანაირი შეხება არ გვქონია. ორშაბათს არც ბაზაზე მივსულვართ და არც გვივარჯიშია. ლიგის ორგანიზატორები გვეუბნებიან ჩემპიონატს დავამთავრებთო, მაგრამ დღეები გადის და ისევ გაურკვევლობაში ვართ. მოთამაშეებს დასჭირდებათ დრო, ნორმალურ ცხოვრებას რომ დაუბრუნდნენ. ეს არის მთელი პრობლემა. ახლა გვეუბნებიან, რომ ყველანი სახლებში უნდა ვიყოთ, ოჯახთან ერთად – მხოლოდ ეს არის, რისი თქმაც ფეხბურთელებისთვის შეგვიძლია.

– როდისთვის იგეგმება ვარჯიშის განახლება, ამაზე საუბარი არ ყოფილა?

– კვიპროსში ფეხბურთელებს დასასვენებლად დრო თითქმის არ აქვთ, მაგრამ ჩემპიონატი თუ 15-16 აპრილს განახლდება, მაშინ გამოდის, რომ დასვენება მთელი თვე გაუგრძელდებათ. როდის დავიწყებთ მომზადებას? ეს პრობლემაა და არ ვიცი, ასეთი პაუზის შემდეგ გუნდი როგორ უნდა მოვამზადოთ. ზოგიერთმა, შესაძლოა, ამ პერიოდში ივარჯიშოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი სათამაშოდ მზად იქნებიან. სეზონი რომ დასრულდეს, მსხვერპლი უნდა გავიღოთ. წარმატებას ის მიაღწევს, ვინც უკეთ მომზადებული იქნება. სხვა რა შემიძლია გითხრათ?

– არის შანსი, რომ ამ დროისთვის პირველადგილოსანი გუნდი ჩემპიონად გამოცხადდეს?

– მე ვერ ვიტყოდი, რომ ეს სწორი იქნება. სხვა გუნდები იტყვიან, რომ ეს უსამართლობაა. ჩვენ და ომონიას თანაბარი ქულები გვაქვს. უეფასა და მრავალ ქვეყანაში ასეთ დროს ჩემპიონად აცხადებენ მათ, ვისაც მეტი გოლი აქვს გატანილი. კვიპროსში კი ეს საკითხი ურთიერთშეხვედრებით წყდება. არიან „ჭკვიანი“ ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ ჩემპიონატი უნდა გაუქმდეს, ხოლო ზოგიერთი თვლის, რომ მე ვარ იმ ქვეყნიდან, სადაც ხალხმა გამოიარა ომები, ჰყავს უამრავი ლტოლვილი, მაგრამ არსებობს შიში, რომ ეს ყველაზე დიდი პრობლემა იქნება, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც გაჭირვებაა. რა თქმა უნდა, ახლა ფიქრის მეტი დრო გვაქვს. თუმცა პრობლემა არ გვაძლევს საშუალებას, გარკვეულ საკითხებზე ნათელი გონებით ვიფიქროთ. მოდით, ჯერ ეს ვირუსი დავამარცხოთ. თუმცა, არ ვიცით, ეს სეზონი დასრულდება თუ არა. ამიტომ, ვერ ვილაპარაკებ, ვის მოწვევას ვაპირებთ. სეზონი ჯერ არც დასრულებულა. რა თქმა უნდა, ჩვენ ახალ ფეხბურთელებს მოვიყვანთ და გარკვეული ცვლილებებიც მოხდება.

– კარიერაში საუკეთესო და ყველაზე რთულ პერიოდებზე რას იტყვით?

– კარგი დრო ბევრჯერ მქონია. ყოველთვის, როცა რაღაცას მიაღწევ, დიდი სიხარულია. ბევრი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს საქართველოს ნაკრებთან, ანორთოსისთან, ნიუკასლთან... ცუდი დრო იყო მაშინ, როცა ტრავმები მქონდა, მაგრამ ახლანდელი პერიოდი ყველასთვის ცუდი დროა. ვერ წარმოვიდგენდი, რომ მთელი პლანეტა ასეთ მდგომარეობაში ჩავარდებოდა. ამ ვითარებიდან ერთად უნდა გამოვიდეთ. ეს პრობლემა ყველა ქვეყანას აახლოებს. უმჯობესია, ახლა გაერთიანდნენ და პრობლემა ერთად გადალახონ.

– ანორთოსისი დამაჯერებლად ლიდერობდა, მაგრამ ბოლოს ბევრი ქულა დაკარგა. რა იყო ამის მიზეზი?

– შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ ერთადერთი გუნდი ვართ, ვინც სეზონის განახლების შემდეგ სუპერლიგასა და თასზე ძლიერ გუნდებს შევხვდით. ბოლო პერიოდში იოლი თამაში არ გვქონია. არ მინდა ვინმეს დაკნინება, მაგრამ ომონია უფრო სუსტ გუნდებს შეხვდა – ოლიმპიაკოსსა და ნეა სალამინას ერთმანეთს ვერ შევადარებთ. მაგრამ როდესაც ვთქვით, რომ ჩემპიონობა გვსურდა, ვიცოდით ჩვენი გუნდის ძალა.

ჩვენ დაკარგული ქულებიც ვერ შეგვაჩერებს. მარტივი თამაში აღარ იქნება. ლიდერებს ქულებს შედარებით სუსტი გუნდებიც წაართმევენ და ფინალური ეტაპი ყველასთვის რთული იქნება. არის სეზონი, როცა გუნდი 1-2 თამაშს აგებს და პირველობას ასე იგებს, მაგრამ ახლა ქულა ყველამ დაკარგა. სწორედ ამიტომ არის ჩვენი ლიგა კონკურენტუნარიანი და საინტერესო, რაც ძალიან კარგია. პირველ ოთხეულში ჩემპიონობა ყველას შეუძლია. ჩვენ ჩემპიონობა გვინდა და ვიმედოვნებთ, რომ მიზანს მივაღწევთ. 2005 წლის ჩემპიონატში უფრო მეტი სირთულეები იყო, ვიდრე დღეს: მაშინ ჩვენ ბევრად ნაკლები ბიუჯეტი გვქონდა, მაგრამ საზღვარგარეთიდან რამდენიმე მაღალი დონის ფეხბურთელი ანორთოსისში მასობრივად პირველად სწორედ მაშინ მოვიწვიეთ და მათ ჩვენს წარმატებაში დიდი როლი შეასრულეს. ჩვენთან იყვნენ კაცავაკისი, ბაუერსი, პურსაიტისი, ქინქლაძე... და მაშინ მეც ვთამაშობდი...

ოთარ გიორგაძე: „საფრანგეთში სრულ მარტოობაში ვზივარ“

ბორჯღალოსანი ოთარ გიორგაძე ერთ-ერთია იმ ქართველი ლეგიონერებიდან, რომელიც მსოფლიო პანდემიის გამო უცხო ქვეყანაში, კერძოდ, საფრანგეთში ჩარჩა და ტრავმას, რომელიც ერთი თვე გაუგრძელდა, კარანტინის პირობებში, თვითიზოლაციაში მკურნალობს.

ოთარ გიორგაძე:

– საფრანგეთში 15-დღიანი კარანტინი გამოცხადდა და სახლიდან არავინ გადის. ქალაქი ცარიელია და ყველანი ვემორჩილებით მოთხოვნებს. მაკრონმა თქვა, რომ ამ 15 დღეში დაინფიცირებულთა რაოდენობა უნდა შემცირდეს და ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდება.

24 წლის მორაგბეს ყველაზე მეტად დილით გაღვიძება და საქმეზე წასვლა ენატრება:

– სეზონი იმდენად გადატვირთულია, რომ ხშირად სპორტსმენს დასვენება ენატრება და თითქოს ახლა ამისათვის საუკეთესო დროა, მაგრამ რეალურად სულ სხვაგვარადაა. არაფერია იმაზე კარგი, როდესაც დილით იღვიძებ, საქმე გაქვს და ამ საქმეზე წასასვლელი ხარ. სახლში ჯდომა ძალიან რთულია და ძალიან განვიცდი იმ ფაქტს, რომ მოედანზე ვერ გავდივარ. შესაძლოა ეს იმის ბრალია, რომ ტრავმის გამო ისედაც ბევრი გამიცდა და ახლა ამას კარანტინიც დაემატა.

გიორგაძე 2020 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის გაფართოებულ შემადგენლობაში იყო და რუმინეთთან მატჩი სასტარტო შემადგენლობაში უნდა დაეწყო, მაგრამ კოჭი გადაუბრუნდა, მყესები დაუზიანდა და 3-კვირიანი მკურნალობა დაენიშნა:

– რადგან ტრავმის გამო ნაკრებში თამაში აღარ მიწევდა, საფრანგეთში დავბრუნდი და რეაბილიტაციას გუნდში გავდიოდი. სრულ გამოჯანმრთელებამდე 1 კვირა იყო დარჩენილი, მაგრამ გუნდში ერთბაშად 6 მესამეხაზელი გვყავდა დამტვრეული, წინ კი პრინციპული შეხვედრა გველოდა აჟენთან. ტრავმირებული მოთამაშეებიდან დაბრუნებასთან ყველაზე ახლოს მე ვიყავი და მწვრთნელებმა მთხოვეს, თუ შევძლებდი მეთამაშა. დავთანხმდი და ამ დროს კოჭი ხელმეორედ დავიზიანე, რის გამოც რეაბილიტაციის პროცესი ახლაც გრძელდება. ორშაბათიდან ბურთით ვარჯიში უნდა დამეწყო, მაგრამ ვირუსების გამო ყველაფერი გაჩერებულია. როგორც კი სიტუაცია დარეგულირდება, ვარჯიშს სრული დატვირთვით გავაგრძელებ.

მიუხედავად შეზღუდვებისა, ბრივმა მორაგბეს რეაბილიტაციისთვის საჭირო ინვენტარი სახლში გაატანა და ეს ვარჯიშები გიორგაძეს დროის გაყვანაშიც ეხმარება:

– რეაბილიტაციას სახლში გავდივარ, რადგან უკიდურესი აუცილებლობის გარდა, გარეთ გასვლა და სხვა ადამიანებთან კონტაქტი გვეკრძალება. გუნდიდან ყველა ის საჭირო ინვენტარი გამომატანეს, რაც კოჭის გამაგრებას სჭირდება. ყოველდღე 6-7 სავარჯიშოს ვასრულებ. ექიმებთან ვიდეო-თვალით გვაქვს კონტაქტი და ასე მეუბნებიან რა უნდა გავაკეთო. გარკვეულწილად, ეს ვარჯიშები დროის გაყვანაშიც მეხმარება.



ტოპ 14-ის გუნდებიდან ბრივი ყველაზე ქართული გუნდია. რაგბი ევროპის ჩემპიონატზე რუსეთთან გასამართი მატჩისთვის რამდენიმე ბორჯღალოსანი ემზადებოდა და ფრენების შეჩერების შემდეგ, ისინი საქართველოში დარჩნენ, მეორე ნაწილი კი, გიორგაძის მსგავსად, საფრანგეთშია და ეპიდემიის გავლას უცხო ქვეყანაში ელოდება.

ოთარი ფიქრობს, რომ ნაკრების შეკრებაზე მყოფებს ძალიან გაუმართლათ:

– რომ არა ტრავმა, ახლა მეც საქართველოში ვიქნებოდი. ნაკრებში გამოძახებულ მორაგბეებს ძალიან გაუმართლა, რადგან სამშობლოში დარჩნენ და საკუთარ სახლებში არიან, რაც, ჩემი აზრით ძალიან სასიამოვნოა. მეც ვისურვებდი მათ ადგილზე ყოფნას. გული მწყდება, საფრანგეთში სრულ მარტოობაში რომ ვზივარ.

მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, მორაგბე მაღალ საზოგადოებრივ პასუხისმგებლობაზე საუბრობს:

– აქ ქართველები მრავლად დავრჩით, მაგრამ ერთმანეთთან კონტაქტი მხოლოდ ტელეფონის მეშვეობით გვაქვს. კახა ასიეშვილს, სოსო ბეკოშვილს ოჯახები ყავთ და ერთმანეთთან მისვლას ვერიდებით.

რაც შეეხება რაგბი ევროპის ჩემპიონატს, გიორგაძე გუნდის სათამაშო სტილით და მწვრთნელის მიდგომით კმაყოფილია:

– ჩავარდნები გვქონდა, მაგრამ გუნდის თამაშის სტილსა და ხარისხში ძალიან დიდი სხვაობაა. თუ არ ჩავთვლით ესპანეთთან მატჩს, ყველა შეხვედრა კარგად ჩავატარეთ. ლევან მაისაშვილი ქართველია, ჩვენი ხასიათი ყველაზე კარგად იცის და ეს საქმესაც დაეტყო. ის სულ ჩვენთან იყო, მოედანზე თუ მის მიღმა და ეს უშუალო ურთიერთობები ყველას გვსიამოვნებდა.

გიორგაძემ ცოტა ხნის წინ ბრივთან ახალი, 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და გუნდში 2022 წლამდე დარჩება. მას უფრო სახელოვანი გუნდებიდან არაერთი შეთავაზება ჰქონდა, თუმცა ნაცნობ გარემოში დარჩენა არჩია:

– იყო შემოთავაზებები დიდი გუნდებიდან, მაგრამ ბრივში დარჩენა ვარჩიე და 2-წლიან ახალ კონტრაქტს მოვაწერე ხელი. ამ გუნდის ტოპ 14-ში დაბრუნებაში მეც მიმიძღვის წვლილი და ვარჩიე აქ მეთამაშა, დამეხვეწა სათამაშო ნიუანსები. სჯობს ბევრი ვითამაშო, ვიდრე დიდ კლუბში გადავიდე და სხვებს ვუყურო, როგორ თამაშობენ. ბრივი ნამდვილად ჩემი გუნდია.

გიორგაძე ბრივში 2 წელია თამაშობს, სადაც კლერმონიდან გადავიდა და ამბობს, რომ მას შემდეგ მნიშვნელოვანი წინსვლა აქვს:

– გულშემატკივარი შესაძლოა ვერ უყურებს ჩემს თამაშებს, მაგრამ ბრივში გადასვლის შემდეგ, წინსვლას აშკარად ვგრძნობ. განსაკუთრებით დაცვაში, რადგან ამ კომპონენტზე მსოფლიო თასის წინ ნაკრებში ბევრი ვიმუშავეთ. მიუხედავად ამისა, საკუთარ თავზე კიდევ უფრო მეტი მაქვს სამუშაო, რადგან მინდა ვიყო დაბალანსებული მოთამაშე და არა ძლიერი რომელიმე კონკრეტულ ასპექტში.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ჯუნგლებში გზააბნეული წყვილი მოულოდნელად გამოჩენილმა ძაღლმა გადაარჩინა

კამბოჯის კუნძულ რონგზე ძაღლმა გადაარჩინა ორი კანადელი ტურისტი, რომლებსაც ჯუნგლებში გზა აებნათ და უკვე პანიკის ზღვარზე იმყოფებოდნენ.

ილი იანგი და მისი შეყვარებული იანიკი კამბოჯასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებში სამოგზაუროდ იყვნენ ჩასული, რათა იქაური კერძები დაეგემოვნებინათ და იანიკის ფუდ-ტრეკისთვის ახალი რეცეპტები მოეპოვებინათ. დეგუსტაციებისგან გადაღლილებმა, გადაწყვიტეს, ჯუნგლების გავლით მოშორებით მდებარე პლაჟისკენ მსუბუქი, 45-წუთიანი გასეირნება მოეწყოთ.

მალე ისინი მიხვდნენ, რომ გზა აებნათ. მათ დიდი გაჭირვებით უწევდათ გზის გაგნება ხშირ მცენარეებს შორის, მაშინ როდესაც ადგილობრივები უმტკიცებდნენ, რომ ჯუნგლებში სიარული სრულიად ადვილი იყო. ილი და იანიკი ჯპს-ს მონაცემებს ადარებდნენ და მიხვდნენ, რომ პლაჟამდე მანძილის ორი მესამედი გავლილი ჰქონდათ, ამიტომ გადაწყვიტეს, უკან დაბრუნება აღარ ეცადათ და გზა გაეგრძელებინათ. ტურისტებმა ჯუნგლებში საათზე მეტი იბოდიალეს და ილის პანიკა დაეწყო. მოულოდნელად ჯუნგლებში ძაღლი გამოჩნდა. ის კუდს ისე აქიცინებდა, თითქოსდა მათ ანიშნებდა, რომ უკან გაჰყოლოდნენ. მიხვდნენ რა, რომ დასაკარგი აღარაფერი ჰქონდათ, ილი და იანიკი ცხოველს უკან მიჰყვნენ და მალე მთავარ ბილიკზე აღმოჩნდნენ.

მადლიერების ნიშნად ისინი ძაღლს მოეფერნენ და წყლით გაუმასპინძლდნენ.

– საოცარია, რომ ძაღლმა მთავარ ბილიკზე გაგვიყვანა. ჩვენ გუგლ მარსზე მას ვხედავდით, მაგრამ ხშირი მცენარეების გამო იქამდე მიღწევას ვერ ვახერხებდით. ძაღლმა უკეთესად იცის ყველა ბილიკი. მინდა მჯეროდეს, რომ მან იცოდა, დახმარება გვჭირდებოდა და ჩვენ გადასარჩენად მოვიდა, – განაცხადა ილიმ. მისი ვარაუდით, ის და მისი შეყვარებული უბრალო ქუჩის ძაღლმა გადაარჩინა, რომლის მსგავსიც კუნძულ რონგზე უამრავია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. თურქული აბანო; 2. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 3. სხვაობა ფასიანი ქაღალდების გასაყიდ და საყიდ ფასებს შორის; 5. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 6. მოხსენების, ლექციის მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებანი; 8. წვრილი, წვნიანი ნაყოფის მქონე ბუჩქოვან მცენარეთა საერთო სახელწოდება; 11. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 13. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 14. ხორცის ნახარში; 15. ოპტიკური ხელსაწყო; 19. ცხვრის, ხბოს ტყავისგან დამზადებული ღვინის, არყის ჭურჭელი.

თარაზულად: 1. ბეჰემოტის მეორე სახელწოდება; 4. კარსტული მღვიმე წყალტუბოს მახლობლად; 7. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 9. მეთოთხმეტე საუკუნის საფრანგეთის გლეხთა აჯანყების სახელწოდება; 10. სამონასტრო კომპლექსი გორის რაიონში; 12. ევროპელ ებრაელთა საერთო სახელწოდება; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 17. ტროპიკული ხილი; 18. პროფესიონალი დამსმენის, ჯაშუშის სახელწოდება ძველ საბერძნეთში; 20. ინგლისელი ფიზიკოსი; 21. აუქციონ „კრისტი“-ს მფლობელი; 22. შვედი ასტროფიზიკოსი, ტემპერატურის შკალის გამომგონებელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დევიზა; 2. ტონიკი; 3. იტამი; 5. მუზა; 6. დუქანი; 8. ქაჯაია; 11. პანკრეასი; 13. ესენცია; 14. ბედუინი; 15. ბარტერი; 19. ლალი.

თარაზულად: 1. დეპორტაცია; 4. თალმუდი; 7. ვატმანი; 9. მორავია; 10. ოპეკი; 12. გვასალია; 16. საქსონია; 17. თეორემა; 18. თურაშაული; 20. სოპრანო; 21. ვალი; 22. მელქიორი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სოჭი; 2. ტანგო; 3. სმალტა; 5. უწერა; 6. ბუდეშური; 8. გრენლანდია; 10. ევკომია; 12. ბორანო; 14. ბასტრო; 15. ბინომი; 16. აპაჩი.

თარაზულად: 1. სტრიტი; 4. ჰურიები; 7. მონეტა; 9. ტირანა; 11. მეეზოვე; 12. ბილტმორი; 13. დოკერი; 17. კვარცი; 18. იდეა; 19. ინფანტინო; 20. ბატიბუტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1880

ევრო — 3.4230

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7583

100 რუსული რუბლი — 3.9323

ამინდის პროგნოზი 21 მარტისთვის

17 მარტიდან

ტარიელ ზოზრაშვილი

მთელი მსოფლიო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

პენსიონერმა ქონება ინტიმური სურათების გაყიდვით დააგროვა

70 წლის ამერიკელმა პენსიონერმა ქალბატონმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხა ინტიმური ფოტოსურათების გაყიდვით ქონების დაგროვება.

მხურვალე ნუდისტის ფსევდონიმით ცნობილმა პენსიონერმა აღიარა, რომ დედიშობილა ფოტოსურათების გადაღება ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაიწყო. ის დარწმუნებულია, რომ ამაში ცუდი არაფერია, რადგან, მისი თქმით, ადამიანის სხეული ხელოვნების ნიმუშია.

ამერიკელი ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის დროს გათხოვდა. მისი მეუღლე ფოტოგრაფად მუშაობს და ცოლს ფოტოსურათების გადაღებას არ უშლის.

მხურვალე ნუდისტი ფოტოსურათებს სპეციალიზირებულ გვერდზე ყიდის, რომელზეც ფოტოსურათებს მყიდველის სურვილისამებრ იღებენ. პენსიონერი ამტკიცებს, რომ მათთან ურთიერთობა მოსწონს, ზოგიერთ მათგანს კი დაუმეგობრდა კიდეც. მისი თქმით, მისთვის ფანებს ერთხელაც კი არ მიუმართავთ უხამსი წინადადებით.

თვეში მისი შემოსავალი დაახლოებით ათი ათას დოლარს შეადგენს. პენსიონერის თქმით, მან ნახა რამდენიმე ფოტოსესია, რომელზეც ახალგაზრდა გოგონები მას ბაძავდნენ, რამაც ის ძალიან გაახარა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

21 მარტისთვის

ვერძი – დაძაბული ხართ. ოჯახურ ცხოვრებაშიც და პროფესიონალურ სფეროშიც გარკვეული სირთულეები შეგხვდებათ. ქალებმა ახალ ნაცნობობას თავი აარიდეთ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა, განსაკუთრებით – ბიზნესმენებისთვის. გელით მატერიალური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. **ტყუპები** – ვარსკვლავები მიზნის მიღწევაში გეხმარებიან. ხელსაყრელ წინადადებას მიიღებთ, თუმცა სიყვარულში, შესაძლოა, მარცი განიცადოთ. **კირჩხიბი** – ქარაფშუტობა და საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება ხელს გიშლით ჩანაფიქრის რეალიზებაში. იყავით მობილიზებული და პრინციპული. **ლომი** – ახალგაცნობილ ადამიანს არ ენდოთ. სამსახურში პრობლემები შეგხვდებათ. **ქალწული** – ნუ იაქტიურებთ. საქმიან პარტნიორებთან მცირე გაუგებრობა და უსარგებლო საუბრებია მოსალოდნელი. **სასწორი** – მძიმე და სახიფათო დღეა. შეძლებისდაგვარად თავი შეიკავეთ ყოველგვარი კონტაქტისაგან. ახლობელ ადამიანთან შესაძლოა ურთიერთობა გაგიფუჭდეთ. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა. სამსახურში პრობლემები თანდათან გვარდება. სასიამოვნო ახალი ამბავი სიცოცხლის სიხარულით აღგავსებთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება, რაც დადებითად აისახება როგორც თქვენს პირად ცხოვრებაზე, ისე საქმიან ურთიერთობებზე. ვარსკვლავები გწყალობენ. **თხის რქა** – დაძაბული ხართ. ოჯახურ ცხოვრებასა და პროფესიონალურ სფეროში გარკვეული სირთულეები შეგხვდებათ. ქალებმა ახალ ნაცნობობას თავი აარიდეთ. **მერწყული** – კარგი დღეა ურთიერთობების გასაფართოებლად, ახალი ნაცნობების შესაძენად, რაშიც თქვენი კომუნიკაბელურობა ძალიან დაგეხმარებათ. **თევზები** – საქმიანი კონტაქტები წარმატებას მოგიტანთ. აქცენტი მთავარზე გააკეთეთ და ენერგიას წვრილმანებზე ნუ დახარჯავთ.

22 მარტისთვის

ვერძი – კომერციული საქმიანობისათვის ძალზე კარგი პერიოდი გიდგათ. გაამართლებს ნებისმიერი ფინანსური ოპერაცია. სხვების რჩევებს ყურად ნუ იღებთ. **კურო** – აქტიურად დაისვენეთ, ასევე დაკავდით შემოქმედებითი საქმიანობით. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა სასიკეთოდ წაგადგებათ. **ტყუპები** – ძველი პრობლემების მოსაგვარებლად ახალ მეთოდებს მიმართეთ. მიენდეთ ინტუიციას. **კირჩხიბი** – დღეს არასასურველია ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები. დაისვენეთ მშვიდად მყუდრო გარემოში, შინაურების წრეში. **ლომი** – ჯანმრთელობას ყურადღება მიაქციეთ. ახალი ნაცნობობა თქვენს საქმიანობაზე არაკეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს. **ქალწული** – მოსალოდნელია მცირეოდენი უსიამოვნება და კამათი ოჯახის წევრებთან. უმჯობესია, თუ კომპრომისზე წახვალთ. **სასწორი** – დღეს განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია და მიხვდებით, ვინ არის თქვენი მტერი და ვინ – მოყვარე. **ღრიანკალი** – წარსულის ნეგატიური ზეგავლენისგან მალე გათავისუფლდებით. ახალი ნაცნობობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, იდეების რეალიზაციისათვის. მოუსმინეთ შინაგან ხმას. **თხის რქა** – ჯანმრთელობას არ უჩივით. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. მიზანს იოლად მიაღწევთ. **მერწყული** – აქტიურად დაისვენეთ. ისეირნეთ სუფთა ჰაერზე, ივარჯიშეთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობა ჰარმონიულია. **თევზები** – მაქსიმალურად შეიკავეთ ემოციები. ნუ აჰყვებით ჭორებს. არ აჩქარდეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ამ ბოლო დროს ყველაფერზე ნერვები მეშლება...

– მაინც რაზე?

– რაზე კი არა, თუ გწყვიტე სიფათში, კედელზე ტვინს მიგასხმევინებ!!!

●●●

დილით ნარკომანმა სარკეში ჩაიხედა:

– ვაა, ეს მე ვარ, ჩემი...

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჩაიხედა:

– ისევ მე ვარ, ჩემიი...

ამ დროს კარზე აკაკუნებენ. ნარკომანი კითხულობს:

– ვინ ხარ?

– მე!

– აუუ, მანდაც მე ვარ, ჩემიიი...

●●●

სახლში მისულ მთვრალ ქმარს ცოლმა მიაძახა:

– ეგ ღვინო და არაყია შენი მტერი და მომსპობი...

– რა გინდა მერე, ქალო, გინდა, რომ მტერს შევუშინდე?..

●●●

ბარში შესული მამაკაცი დახლთან მდგარ სკამზე მოკალათდა და ბარმენს ორმაგი მარტინი შეუკვეთა. დალია, გულის ჯიბიდან ფოტოსურათი ამოიღო, დახედა და ისევ ორმაგი მარტინი შეუკვეთა. დალია. ისევ ფოტოსურათს დახედა და ისევ ორმაგი მარტინი შეუკვეთა. ასე გამეორდა რამდენჯერმე. ბოლოს ბარმენი ეკითხება:

– რაც მარაგში მაქვს, მთელ მარტინის დაგისხამ, მაგრამ შეგიძლია მითხრა, რას უყურებ სურათზე იმისთანას, რომ შემდეგ ყოველთვის ორმაგ მარტინის უკვეთავ?

– ჩემი ცოლის ფოტოა, როგორც კი შევატყობ, რომ მომწონს, სახლში წავალ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რაკიტიჩს სევილიაში სურს დაბრუნება

ბარსელონას ხორვატ ნახევარმცველს ივან რაკიტიჩს სევილიაში სურს დაბრუნება და ზაფხულში სავარაუდოდ ასეც მოხდება.

წლევანდელ სეზონში რაკიტიჩი ყოველთვის ვერ ხვდება გუნდის ძირითად შემადგენლობაში, რის გამოც ის უკმაყოფილოა.

აღსანიშნავია, რომ ბარსელონაში ის სწორედ სევილიიდან გადავიდა, სადაც სამი სეზონი გაატარა. რაკიტიჩის ცოლიც სევილიიდან არის და ამ ქალაქში დაბრუნება შესაძლოა ამ მიზეზითაც იყოს გამოწვეული.

ამჟამად რაკიტიჩი, ისევე, როგორც სხვა ფეხბურთელები, იძულებით შვებულებაში იმყოფება კორონავირუსის გამო.

ზიდანი: „ფეხბურთი აუცილებლად დაბრუნდება“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა კორონავირუსზე ისაუბრა და თქვა, რომ იძულებითი შესვენება ცუდია, მაგრამ ამ შემთხვევაში ფეხბურთელებს სხვა გზა არა აქვთ.

ზიდანი დარწმუნებულია, რომ ფეხბურთი მალე დაბრუნდება და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება:

– ჩვენ ყველანი მოლოდინის რეჟიმში ვართ და სხვა არაფერი დაგვრჩენია. ფეხბურთელები ცოტა ხანში ინდივიდუალურად ვარჯიშს დაიწყებენ, მანამდე კი ისინი წესებს ემორჩილებიან. ფეხბურთი ყველას გვენატრება და ერთი სული გვაქვს, ეს ყველაფერი როდის დასრულდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მეთევზემ ორმეტრიანი ოკუნი დაიჭირა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატში მეთევზემ ანკესით ორმეტრიანი თევზი დაიჭირა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ჯერემი დე ჰაანი პალარენდას კონცხთან თევზაობდა. მისი თქმით, თავიდან ფიქრობდა, რომ ანკესზე დიდი ზვიგენი წამოეგო.

– ამას სრულიად არ ველოდი და გაოგნებული დავრჩი, როდესაც ის ოკუნი აღმოჩნდა, – ამტკიცებს მეთევზე.

მისი მტკიცებით, ექვსი წლის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ მოხდა, რომ მის ანკესზე ზღვის ოკუნი წამოეგო.

დე ჰაანს 15 წუთის ბრძოლა დასჭირდა იმისთვის, რომ უზარმაზარ თევზს გამკლავებოდა და ნაპირზე ამოეთრია. როგორც გაირკვა, ოკუნის სიგრძე ორ მეტრს აღემატებოდა.

– ასეთი რამ მეთევზის ცხოვრებაში შეიძლება მხოლოდ ერთხელ მოხდეს, – აღნიშნა დე ჰაანმა, რომელმაც თავის ნადავლთან სურათი გადაიღო და შემდეგ ისევ ზღვაში დააბრუნა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გიორგი პაპკიაური: „ხალხს კორონა თუ არა, შიმშილი და დარდი ამოხოცავს“

ასე მიაჩნია მომღერალ გიორგი პაპკიაურს და დღითიდღე რწმუნდება, რომ კატასტროფის წინაშე ვდგავართ:

– ასეთი მდგომარეობა თუ გაგრძელდა, ხალხს კორონა თუ არა, შიმშილი და დარდი ამოხოცავს. იმ ხალხს, ვისაც არ აქვს შემოსავალი, დანაზოგი, ვისაც არ მოუპარავს, ვისაც პატიოსნად უცხოვრია, ვისაც არ ეყო ფული პროდუქტების მოსამარაგებლად.

ვხუმრობ, ვხუმრობ და რეალურად კატასტროფის წინაშე ვდგავართ.

გიორგი კეკელიძე გვამხნევებს

მწერალი და პოეტი გიორგი კეკელიძე გვამხნევებს და დარწმუნებულია, რომ კორონა მალე წავა:

– გამარჯობა. არ გეგონოს ტყუილად გწერდე. მთელი მსოფლიოს ექიმებს ჰქონდათ ხიღვა და ახლა საჭიროა, გაუგზავნო ეს წერილი ოც ადამიანს და ბედნიერება მოგაკითხავს.

თუ როგორც არის. მოკლედ:

1. ეცადე და დარჩი სახლში.
2. თუ ვერ, ეცადე ერთსა და იმავე ადამიანებთან გქონდეთ კავშირი.
3. მოერიდე ხალხმრავალ ადგილებს.
4. შეძლებისდაგვარად მოარიდე პატარები ხანდაზმულებს, თუ ისინი ბოლო ხანებში რისკჯგუფებთან ურთიერთობდნენ – ბავშვებს შეუმჩნევლად გადააქვთ ვირუსი, თუმცა იოლად შეიძლება გადასდონ მოხუცს.
5. დაიბანე ხელები. ხშირად!
6. იყავი მხნედ!
7. და სხვაც გაამხნევე!

და ბედნიერება მოგაკითხავს. და კორონა წავა მალე!

მარკუს მეტრეველი თვითიზოლაციაშია

მომღერალი მარკუს მეტრეველი თვითიზოლაციაშია. იგი 2 კვირის განმავლობაში მარტო იქნება. ამის მიზეზი მომღერლის გერმანიაში ვიზიტი გახდა.

მარკუსმა ბერლინში კონცერტი გამართა, რომელმაც ძალიან კარგად ჩაიარა, თუმცა საქართველოში დაბრუნებულს თვითიზოლაციაში ყოფნა მოუწია.

მარკუსს მეგობრები, გულშემატკივრები თუ რიგითი მსმენელები ინტერნეტით ამხნევებენ და არწმუნებენ, რომ თვითიზოლაციისთვის დაწესებული პერიოდი ძალიან მალე გაივლის და ყველაფერი კარგად იქნება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↘



შვეულად: 1. ლირიკულ-სატრფიალო ხასიათის სპარსულ-აზერბაიჯანული სიმღერა; 2. საფრანგეთის კინოაკადემიის პრიზი; 3. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი; 5. ხმელთაშუა ზღვისპირა კურორტი საფრანგეთში; 6. აეროპორტი ტოკიოში; 8. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 11. ჩქარტემპიანი სამეჯლისო ცეკვა; 13. ქართული მინერალური წყალი; 14. ჩაის ფოთლებსა და ყავის მარცვლებში არსებული ალკალოიდი; 15. ბაღი ათენში, სადაც განთავსებული იყო არისტოტელეს ფილოსოფიური სკოლა; 19. ხვიარა, მცოცავი მარადმწვანე მცენარე.

თარაზულად: 1. გერმანიის არმია; 4. აშშ-ის ელჩი საქართველოში; 7. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 9. ცნობილი ბაზარი ბარსელონაში; 10. გეომეტრიული ფიგურა; 12. სამეცნიერო ხარისხის მინიჭება; 16. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 17. ატომგულის დადებითად დამუხტული ნაწილაკი; 18. ესპანელი ფერმწერი; 20. კუნძულოვანი სახელმწიფო აზიაში; 21. კოღოს ძველი ქართული სახელწოდება; 22. პოპულარული ირლანდიური ჯინი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა